ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ ხოფერია

თანამედროვე ქართული ფემინისტური აქტივიზმის მთავარი მიღწევები და გამოწვევები აქტივისტების პერსპექტივიდან

კულტურის და მედიის სოციოლოგია

ნაშრომი შესრულებული სოციალური და კულტურული კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:
ლია წულაძე - სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული
პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

ნაშრომი განიხილავს ფემინისტ აქტივისტთა თვალით დანახულ თანამედროვე ქართულ ფემინისტურ აქტივიზმს, მის ძირითად მიღწევებსა და გამოწვევებს, სამი ფემინისტური ჯგუფის საქმიანობის მაგალითზე (,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი", ,,ქალთა მზერა", ,,ქალთა მოძრაობა"). წარმოდგენილია ფემინისტური ჯგუფების მოქმედების ძირითადი სტრატეგიები საქართველოში და ამ სტრატეგიების ქმედითუნარიანობის შეფასება თავად ფემინისტ აქტივისტთა პერსპექტივიდან. ასევე, განხილულია აქტივისტთა შეხედულება ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე ფემინისტური აქტივიზმის მიმართ.

საკითხი აქტუალურია გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლებში, საქართველოში აქტიურად განიხილება ქალთა უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები (როგორიცაა სექსუალური ნიშნით შევიწროება, ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა კვოტირების სისტემის დანერგვა პარლამენტში). ამ საკითხების ირგვლივ პოლემიკის გააქტიურების კვალდაკვალ, წინა პლანზე წამოიწია ფემინისტური აქტივიზმის მნიშვნელობამ ქალთა გაძლიერების კუთხით.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუები სამი ფემინისტური დაჯგუფების აქტივისტებთან (ჯამში, 9 სიღრმისეული ინტერვიუ) და მათი ნარატივის ანალიზის შედეგად, გამოვყავი ფემინისტური აქტივიზმის მთავარი სტრატეგიები, არსებული სირთულეები, ძირითადი მიღწევები და გამოწვევები.

აქტივისტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ფემინისტურ აქტივიზმის წინაშე არსებული გამოწვევების მიუხედავად, ის მაინც თანმიმდევრულად ვითარდება და აქტივისტური ჯგუფები მნიშვნელოვანი ანგარიშგასაწევი ძალა ხდება საზოგადოებისთვის.

ფემინისტური აქტივიზმის მთავარ გამოწვევად სახელდება ქალთა გაძლიერება და ამ მიზნით, ფემინისტური ცოდნის გავრცელება როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ქალთა მიმართ ძალადობა პრობლემაა,

თუმცა ეს მხოლოდ ფორმალურად ხდება და აქტივისტთა აზრით, საჭიროა ამ ფორმალობის პოლიტიკაში გადატანა, რომ ჩაგვრის მექანიზმები დასუსტდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა სოლიდარობის გაძლიერება ქვიარ და ფემინისტურ მოძრაობებს შორის, რათა დასახული მიზნები ერთიანი ძალებით იქნას მიღწეული.

Annotation

The thesis aims to study feminist activism in modern Georgia, its main achievements and challenges from the perspective of activists themselves, based on the example of three feminist groups and their activities ("Independent Group of Feminists", "Women's Gaze", "Women's Movement"). The paper focuses on the main strategies of their activism and the effectiveness of these strategies from the perspective of feminists. Furthermore, the work discusses the activists' opinions about the societal attitudes towards the feminist activism in Georgia.

The addressed issue is very significant, as recently different topics of women's rights in Georgia have been actively discussed (such as sexual harassment, violence against women, the implementation of the gender quota system in the Parliament). Following the polemics around these issues, the importance of feminist activism in women's empowerment has been brought to the fore.

The research has been conducted using qualitative method. The activists from the abovementioned three feminist groups have been interviewed (9 in-depth interviews, in total) and based on their narratives, the main strategies, achievements and challenges of feminist activism in Georgia have been identified.

According to the analysis of in-depth interviews with the activists, despite facing various challenges, feminist activism is gradually developing and activist groups are becoming important agents for change.

The main challenge to feminist activism in Georgia is to enhance women's empowerment and to spread feminist awareness in the capital, as well as in the regions. Everyone agrees that violence against women is a problem, but this agreement is only formal and activists think that it is necessary to move this formality to politics and weaken the oppression mechanisms. Furthermore, an important challenge is to strengthen solidarity between the queer and feminist movements and to accomplish the goals cooperatively.

Mariam Khoperia

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. ფემინიზმის ისტორიული განვითარება და თეორიული პერსპექტივები 10

თავი II. აქტივიზმის ცნება და როლი საზოგადოების განვითარებაში 17

2.1 სოციალური კაპიტალის როლი სამოქალაქო აქტივიზმში 23

2.2 ქალთა სამოქალაქო ჩართულობა 25

2.3 პოსტსაბჭოთა ფემინისტური აქტივიზმის ზოგადი მიმოხილვა 28

2.4 ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში 31

2.5 ქართული ფემინისტური ჯგუფების აქტივობებათა ზოგადი მიმოხილვა 32

თავი III. აქტივისტური ჯგუფების მოქმედების სტრატეგიები 36

3.1 სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა და თანამშრომელობა ფემინისტურ ჯგუფებს შორის 43

თავი IV. აქტივიზმის ხელისშემშლელი ფაქტორები 46

თავი V. ქართული ფემინისტური აქტივიზმის მიღწევები და გამოწვევები 52

5.1 ფემინიზმის მთავარი მიღწევები 52

5.2 ფემინიზმის მთავარი გამოწვევები 56

დასკვნა 58

ბიბლიოგრაფია 60

შესავალი

კვლევის აქტუალობა:

ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში მე-19 საუკუნის 60-ანი წლებიდან იღებს სათავეს, როცა ისინი სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებულ საჯარო დისკუსიებში ჩაერთვნენ. დისკუსიები, ძირითადად მაშინდელი პერიოდიკის ფურცლებზე მიმდინარეობდა და სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებთან ერთად, ეხებოდა ქალის როლსა და დანიშნულებას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში, რა თქმა უნდა, არ არსებობდა მსგავსი სახის აქტივიზმი და მან თავი იჩინა უკვე პოსტსაბჭოთა პერიოდში, როცა თანდათან გააქტიურდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებული იყვნენ ფემინისტური აქტივიზმით. თუმცა აღმოჩნდა, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა სიმრავლე არ არის კავშირში მათ ეფექტურობასთან, რამდენადაც ფინანსური დამოკიდებულება დონორზე ზღუდავს ორგანიზაციათა ავტონომიურობას.

მხოლოდ გასული საუკუნის 90-ან წლებში ხელახალი ძალებით ყალიბდება ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების პარალელურად ვითარდება ალტერნატიული ფემინისტური აქტივიზმის დაჯგუფებები - 2011 წელს შექმნილი „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“ და 2014 წელს დაარსებული სამოქალაქო ინიციატივა - „ქალთა მოძრაობა.“ ამ დაჯგუფებების შექმნა დაკავშირებულია კონკრეტულ კამპანიებთან (მაგ: აბორტის აკრძალვა), კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებაზე (მაგ: 2014 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის, მაკა წივწივაძის მკვლელობა). მათი გვერდები შექმნილია სოციალურ ქსელში, ეს ვირტუალური სივრცე აქტიურად გამოიყენება აქტივობების დასაგეგმად და დასაანონსებლად. „ქალთა მოძრაობამ“ დღის წესრიგში დააყენა ქართველი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის მნიშვნელობა, კვოტირების სისტემის შემოღების აუცილებლობა - „მეტი ქალი პოლიტიკაში“, „პოლიტიკაSHE”, ასევე კამპანია ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ. 2015 წლიდან ,,ახალგაზრდა მწვანეებისა“ და ,,ქალთა მზერის“

სახით ყალიბდება ფემინისტური მოძრაობის მესამე თაობა, რომლებიც მემარცხენე შეხედულებების მქონე აქტივისტებს აერთიანებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად(მათ შორის ქალთა სექსუალობის საკითხი), ორიენტირებულია ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებაზე.

დღესდღეისობით საქართველოში არსებული ფემინისტური ჯგუფები ძირითადად ორი სახისაა: ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი და არასამთავრობო ფემინისტური ჯგუფები, რომლებიც ზოგჯერ მცირე და ზოგჯერ გრძელვადიანი გრანტებით სარგებლობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან, როგორებიცაა ,,ქალთა ფონდი საქართველოში", „ფონდია ღია საზოგადოება საქართველო" და სხვ. თუმცა დონორის გრანტზე დამოკიდებულება ხშირად გარკვეულწილად ზღუდავს და ჩარჩოში აქცევს აქტივისტთა მოქმედების თავისუფლებას. ამიტომაც ჯგუფების უმეტესობას ურჩევნია საკუთარი სახსრებითა და შესაბამისად, შეუზღუდავად საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საინტერესოა დღეს საქართველოში არსებული ფემინისტური დაჯგუფებების სტრატეგიებს შორის მსგავსება-განსხვავებები, როგორ აფასებენ თავად აქტივისტები ამ სტრატეგიების ეფექტურობას და ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმის მიმართ. რამდენად მნიშვნელოვანია ვირტუალური სივრცის როლი აქტივიზმის ხელშეწყობაში და რამდენად მუშაობს აქტივიზმის მსგავსი ფორმით ხელშეწყობა. ასევე, რა წარმოადგენს თანამედროვე ქართული ფემინისტური აქტივიზმის ძირითად მიღწევებსა და გამოწვევებს.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია საქართველოში ფემინისტური აქტივიზმის, მისი მიღწევებისა და გამოწვევების კვლევა თავად აქტივისტების პერსპექტივიდან, სამი ფემინისტური დაჯგუფების მაგალითზე (,,ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი", ,,ქალთა მოძრაობა" და ,,ქალთა მზერა").

კვლევის ამოცანები:

- ქართული ფემინისტური ჯგუფების სამოქმედო სტრატეგიების და ამ სტრატეგიებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების კვლევა;
- როგორ აფასებენ თავად აქტივისტები ამ სტრატეგიების ეფექტურობას;
- ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ფემინისტური აქტივიზმის მიმართ - აქტივისტების პოზიციიდან.

კვლევის ჰიპოთეზა:

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ზოგადი დამოკიდებულება ფემინისტური აქტივიზის მიმართ შეიცვალა და საზოგადოებისათვის ფემინისტური მოძრაობები და ორგანიზაციები აღარ არიან გაუგებარი და მათთვის მიუღებელი გზავნილებით მოლაპარაკე გაერთიანებები, არამედ მსგავსი მოძრაობები გახდა ანგარიშგასაწევი ძალა, რომელსაც მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება შეუძლია ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით პოლიტიკურ და სოციალურ არენაზე. შესაბამისად, ფემინისტურ ჯგუფებსაც მიაჩნიათ, რომ მათი აქტივიზმი შედეგიანია და განაპირობებს საზოგადოების თანდათანობით გამოცოცხლებას ამ კუთხით და დაინტერესებას ქალთა უფლებების ფუნდამენტური საკითხებისადმი.

კვლევის მეთოდები:

კვლევის პროცესში შევისწავლე სამი ფემინისტური დაჯგუფების აქტივობა, ესენია: ,,ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი", ,,ქალთა მზერა", ,,ქალთა მოძრაობა". ამგვარ სელექციას განაპირობებს ის, რომ ეს ჯგუფები უფრო აქტიურად არიან ჩართული ამჟამინდელ დისკურსში ფემინიზმის თემის ირგვლივ და მათი მუშაობა ამ კუთხით ყველაზე თვალშისაცემია სოციალურ ქსელებსა თუ ტელევიზიაში. ასევე, ზემოთხსენებული ორგანიზაციები სხვა ფემინისტურ ორგანიზაციებთან შედარებით უფრო აქტიურად იყენებენ სოციალურ მედიასა და ელექტრონულ საიტებს ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც დამეხმარა, მათი ინტერნეტსაიტებზე გავრცელებული ინფორმაციის დისკურსის ანალიზის შედეგად, გამომევლინა მათი მოქმედების და ინფორმაციის გავრცელების ძირითადი სტრატეგიები.

სიღრმისეული ინტერვიუს გზით ფემინისტურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებთან ვიკვლევ მათ მოსაზრებებს მათი მუშაობის სპეციფიკასა და სირთულესთან დაკავშირებით, როგორ აღიქვამენ ისინი თავიანთი სტრატეგიების ეფექტურობას და როგორ დამოკიდებულებას გრძნობენ საზოგადოების მხრიდან. ჩემი აზრით, თითოეული ორგანიზაციიდან სამ რესპონდენტთან სიღრმისეული ინტერვიუ საჭირო სურათის დანახვისა და ანალიზის საშუალებას მომცემს.

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა:

კვლევის მონაცემები სასარგებლო იქნება როგორც მკვლევრებისათვის, რომლებიც თანამედროვე ქართული ფემინისტური აქტივიზმით არიან დაინტერესებული, ისე თავად ფემინისტებისთვის, რომლებსაც საშუალება ექნებათ, დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღონ სხვა მათი მსგავსი გაერთიანების მუშაობის სპეციფიკასა და სირთულეებზე. კვლევა ასევე საინტერესო იქნება იმ სამთავრობო სტრუქტურებისთვისაც, რომლებიც გენდერულ საკითხებზე მუშაობენ პარლამენტსა და ქალაქების საკრებულოებში.

კვლევის შეზღუდვები:

იმის გათვალისწინებით, რომ შესწავლის ფოკუსად ავიღე მხოლოდ სამი ფემინისტური გაერთიანების კვლევა, საქართველოში ფემინისტური აქტივიზმის მდგომარეობის ნაწილობრივი სურათი მივიღე, მხოლოდ რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამიზნე ჯგუფი ძირითადად მხოლოდ დედაქალაქის მასშტაბით მოქმედებს და შესაბამისად, მიღებული კვლევის შედეგი მხოლოდ თბილისში არსებულ მდომარეობას ასახავს ამ საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში განვიხილე ამ ჯგუფების აქტივისტთა სუბიექტური მოსაზრებები საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ დამოკიდებულებაზე და არა თავად საზოგადოების აზრი მათ საქმიანობასთან დაკავშირებით.

თეორიული ნაწილი

თავი I. ფემინიზმის ისტორიული განვითარება და თეორიული პერსპექტივები

ფემინიზმის თეორიული ჩარჩო და განვითარების ეტაპები გავლენას ახდენს პოლიტიკაზე ფემინიზმის ირგვლივ. ასევე, ისტორიული კონტექსტი უმნიშვნელოვანესია ფემინისტური აზროვნების ჩამოყალიბების და განვითარების ასახსნელად და იმის საჩვენებლად, თუ როდის და როგორ წარმოიქმნა ეს თეორიული მიდგომები, როგორ ახდენენ ერთმანეთზე ზეგავლენას და როგორ იცვლებიან ისინი.

გენდერსა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა მოითხოვს სხვადასხვა ფემინისტური თეორიული მიდგომების განხილვას, ამასთანავე, ამ მიდგომების ქართულ ფემინისტურ მოძრაობათა საქმიანობის მიმართულებათა კონტექსტზე მორგებას.

ფემინისტური თეორიის წარმატების საზომია ის, თუ რამდენად მნიშვენლოვანი გახდა თემა, რომელსაც ადრე დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა (Frye, 1983).

გენდერისა და განვითარების თეორიის ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია განვითარებად ქვეყნებში პოლიტიკის ცვლილებების ისტორიასთან და ქალთა მოძრაობების ისტორიასთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით (Parpart, Connelly & barriteau, 2000).

ფემინიზმი ისტორიულ კონტექსტში რომ განვიხილოთ და მისი წარმოშობის ძირითად წინაპირობებზე ვისაუბროთ, გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ქალი განიხილებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი და არასრულფასოვანი არსება, მოვლენილი ამ ქვეყნად კაცის ბრძანებათა შესასრულებლად. ძველი ბერძნები აღმერთებდნენ ქალის სილამაზეს, თუმცა რეალურ ცხოვრებაში გოგონებს ყიდნენ ან მსხვერპლად სწირავდნენ, ისინი სახლს იყვნენ მიჯაჭვული, არ შეეძლოთ მართვაში მონაწილეობის მიღება, რაიმეს ყიდვა, საკუთრების ფლობა. 585 წელს, მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სპეციალურად განიხილეს საკითხი, არის თუ არა ქალი ადამიანი

და ერთი ხმის უპირატესობით დაამტკიცეს, რომ ქალს სული გააჩნია. ეპოქებისა და დროის ცვლილებასთან ერთად, ქალის უფლებრივი მდგომარეობა რამდენადმე გაიზარდა, თუმცა კაცთან მიმართებით მაინც საკმაოდ შეზღუდული იყო. უკვე მე-19 საუკუნეში ოგიუსტ კონტი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიანი მდგომარეობა განისაზღვრება ქალის ორგანიზმის ბუნებრივი სისუსტით. მისი აზრით, არ შეიძლება არსებობდეს ქალისა და კაცის სოციალური თანასწორობა. ქალის განსაკუთრებული მოწოდება ოჯახური მოვალეობებია. 1943 წელს ევროპაში გამოცემულ წიგნში ქალის როლის შესახებ, ვკითხულობთ: ,,ქალის მოვალეობა მისი ქმრის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ემსახუროს მას მორჩილად, იყოს მოკრძალებული საუბარში და ჩაცმა-დახურვაში. ყურადღება მიაქციოს წესრიგს სახლში და აწარმოოს საოჯახოო საქმეები“. ,,ქალთა საკითხის“ პირველად წამოჭრა დაკავშირებულია საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციასთან, როცა ქალებმა მოითხოვეს კაცებთან უფლებების გათანასწორება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში, დაარსეს თავიანთი კლუბი, ჟურნალები და დაიწყეს დებატებში მონაწილეობის მიღება. ამ დროიდან დამკვიდრდა გამოთქმა ,,ქალთა ემანსიპაცია“ (კიკნაძე, დონაძე, 2006).

ფემინისტურ თეორიათა უმრავლესობა სათავეს დასავლეთში იღებს, შესაბამისად, აუცილებელია მისი მორგება სხვა ქვეყნის კულტურულ თუ სოციალურ კონტექსტთან. ფემინისტურ თეორიაში სხვადასხვა განსხვავებული მიდგომა არსებობს და ეს მიდგომები ცვლილებებს განიცდიან როგორც დროში, ასევე სხვადასხვა სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით.

ქართული ფემინისტური მოძრაობების მუშაობის მიმართულებათა გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სამი მთავარი ფემინისტური მიდგომის გათვალისწინება და მათ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილება ქართულ კონტექსტში.

- ლიბერალური ფემინისტური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრების ყველა სფეროში, ქალს და კაცს რესურსებსა და შესაძლებლობებზე ერთნაირი წვდომა ჰქონდეთ, თუმცა ეს უნდა ხდებოდეს სოციალური და პოლიტიკური სისტემების რადიკალური ტრანსფორმაციის გარეშე. ეს მიდგომა აღმოცენდა 1960-ან

წლებში და მისი მიზანი იყო თანაბარი წარმომადგენლობის მიღწევა, სქესობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლა და სქესობრივი განსხვავებების უარყოფა. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ცნება ამ მიმდინარეობის ფარგლებში არის ე.წ. ,,შუშის ჭერი“, რომელიც სქესობრივი ნიშნით სეგრეგაციას გამოხატავს და ცდილობს, განმარტოს მისი მიზეზები, გაზომვადი კონსტრუქტების გამოყენებით.

- რადიკალური ფემინისტური თეორია ფუნდამენტურ პრობლემად გამოყოფს ქალის დაქვემდებარებულობის პრობლემას და ამ თეორიის პოლიტიკური ფესვები სათავეს იღებს აშშ-სა და ევროპაში 1968 წლის სტუდენტური მოძრაობებიდან. ის გენდერს აღიქვამს, როგორც კაცის მიერ დომინირებულ სისტემას. არ არსებობს განსხვავება პერსონალურ და პოლიტიკურ რეალობებს შორის (,,პირადი პოლიტიკურია“). ყველა მიდგომა, თეორიული თუ პრაქტიკული, რომელიც რადიკალური ფემინიზმის წიაღში აღმოცენდა, განიხილება მხოლოდ ქალთა ჭრილში. კაცთა მიერ დომინირებული ორგანიზაციების საპასუხოდ, შეიქმნა განსხვავებული პოლიტიკის თეორია, ასევე ორგანიზაციები, რომლებიც გამოხატავდნენ ფემინისტთა ღირებულებებს და არსებობდნენ ყოველგვარი ორგანიზაციული სტრუქტურისა თუ ლიდერის გარეშე.

პირველი ფემინისტური მიმდინარეობა, რომელიც მე-19 საუკუნეში ინგლისში აღმოცენდა სუფრაჟიზმის სახით, ქალებისათვის არჩევნებში ხმის უფლების მინიჭებაზე იყო ორიენტირებული. მოძრაობის აქტიურობის შედეგად, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში თანდათანობით შეძლეს ქალებმა ხმის უფლების მოპოვება.

სუფრაჟიზმი წარმოიშვა ,,პატრიარქალური ძალაუფლების“ ფორმათა საწინააღდეგოდ, როგორც მოქალაქეობის აღიარებისთვის ბრძოლა. ,,ინტელექტუალური ქალები, ქალთა მოძრაობები და ფემინისტები მიუთითებდნენ ,,იდეოლოგიურ“ საზღვრებზე და ყალბი უნივერსალიზმის წყაროზე, რომელიც იმპლიციტურად იგულისხმებოდა ქალთა უფლებების ცნებაში. უკანასკნელი მათგანი ეფუძნებოდა ,,ფუნდამენტურ ექსკლუზიას“: ქალები გაძევებული იყვნენ მოქალაქეობიდან და შესაბამისად, ადამიანის უფლებებიდან (კალონი, 2005).

ფრანსუაზა პიკო (2005) საფრანგეთის ფემინისტურ მოძრაობაზე წერს, რომ 1968 წლის პოლიტიკურმა კონცეფციამ ქალთა საკითხების ახლებურად წამოჭრის შესაძლებლობა

დაბადა. ის აცხადებდა, რომ ყველაფერი პოლიტიკურია, მიზნად ისახავდა კოლექტიური საკითხების თავიდან, ხელახალ განსაზღვრას, რათა გაეფართოვებინათ პოლიტიკის გავრცელების არეალი და მასში ჩაერთოთ პირადი და ყოველდღიური ცხოვრება. მან გაკიცხა პოლიტიკის ტრადიციული ხედვა, რომლის მიხედვითაც, იგი რჩეულთა მიერ მონოპოლიზებულ საქმიანობას წარმოადგენდა, რომელთა დანიშნულება თითოეული მოქალაქის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება იყო. მოძრაობის მიზნად, ქალთა მიერ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღება და გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღება გადაიქცა. ფემინისტების განცხადება ,,ყოველივე პიროვნული პოლიტიკურია" ამ ახალი დეფინიციის ნაწილს წარმოადგენდა. ეს ნიშნავდა, რომ სექსი, პირადი ცხოვრება და და ქალისა და კაცის ურთიერთობები პოლიტიკური საკითხებია, ხოლო პოლიტიკა შეფასებული იყო, როგორც სოციალური გარდაქმნის რადიკალური გზა.

- სოციალისტური ფემინისტური თეორია. სოციალისტური ფემინიზმი აქცენტს აკეთებს გენდერს, რასას, კლასსა და სექსუალობას შორის არსებულ კომპლექსურ კავშირებზე. „თანასწორობიდან განსხვავებამდე" (From equality to differences) იყო ევროპაში ფემინისტური მოძრაობის სლოგანი, რომელიც 1980-ანი წლებიდან დაიწყო და ცდილობდა, წინა პლანზეა წამოეწია ქალთა რეპროდუქციულ უფლებებთან ერთად, მისი შრომითი უფლებები და განიხილებოდა ის ბარიერები, რომლებიც იქმნება კაცთა მიერ დომინირებულ სამუშაო გარემოში ქალის ჩართვით (Gherardi, 2005).

წარმოდგენილი თეორიული მიდგომები სხვადასხვა პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფემინისტურმა თეორიებმა ქრონოლოგიურად დასავლური ქვეყნების მსგავსი გზა განვლო. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული ფემინისტური მოძრაობა ინსტიტუციონალურ ცვლილებებზე ორიენტირებული და ნაკლებ რადიკალური იყო. შემდეგ შეიქმნა უფრო რადიკალური ჯგუფები, რომლებიც აქცენტს ქალთა სექსუალობაზე ღიად აკეთებდნენ და შემდგომ, ,,ქალთა მზერის" დაარსების კვალდაკვალ, გაჩნდა სოციალისტური ფემინიზმის ნიშნები ქალთა რეპროდუქციულ და შრომით უფლებებზე აქცენტირებით.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ლიბერალი და სოციალისტი ფემინისტების მიერ შეთავაზებულ სქესთა შორის ურთიერთობების განმარტებებს, მივიღებთ, რომ: ა) სქესთა შორის ურთიერთობა არათანასწორია და მას ახასიათებს გარკვეული შიდა დაპირისპირება ან ინტერესთა კონფლიქტი, ბ) ამ ურთიერთობაში ქალები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში არიან, გ) ეს არამართებულია. ქალთა სუბორდინაციას არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური და პოლიტიკური ფესვები აქვს. ბუნება არ განაპირობებს ქალთა მდგომარეობას - იგი შეიძლება შეიცვალოს და გაუმჯობესდეს. თუმცა, ლიბერალებიც და მარქსისტებიც - სტიუარტ მილი და ფრიდრიხ ენგელსი, ქალებს, როგორც ავტონომიურ გენდერულ ჯგუფს, ართმევენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის პოლიტიკური ქმედების უფლებას. ქალები დაქვემდებარებული არიან, როგორც ქალები, და მათ თავი უნდა გაითავისუფლონ კაცებთან თანამშრომლობით ან ინდივიდუალურად (ედვარდსი, 1983).

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ფემინისტური და ტრადიციული პოლიტიკის თეორიებს შორის ის არის, რომ ფემინიზმი ქალთა გაერთიანებებისა და კოლექტიური ქმედების თეორიაა. ფემინისტური თეორიის თანახმად, მხოლოდ ქალები, ორგანიზებულნი, როგორც ქალები, ქალთა პოზიციიდან შეძლებენ ქალთა მდგომარეობის შეცვლას და ეჭვქვეშ დააყენებენ ძალაუფლების სქესობრივ ასპექტს - კაცთა დომინირებას.

პოლიტიკური და სოციალური პროცესებიდან ქალთა გამორიცხვის პრაქტიკა დღესაც მყარადაა ფესვგადგმული თანამედროვე საზოგადოებაში. მოდ ედვარდსი ნაშრომში ,,ქალთა გაერთიანებები და პოლიტიკური ქმედება“ (1983) აღნიშნავს, რომ ზოგადად, ქალების ჯგუფი უფრო მსხვერპლია, ვიდრე პოლიტიკური აქტივობის მქონე - იგი შეზღუდულია თავის არჩევანში, საკუთარი ცხოვრების მართვასა და განკარგვაში. ქალებზე მრავალგვარად ზემოქმედებენ - როგორც ქალებზე, მაგრამ მათ ერთმევათ საპასუხო ქმედების უფლება - როგორც ქალებს. მრავალი წესი და ნორმა ზღუდავს ქალების ერთობლივი ქმედების უფლებას (მაგრამ მათ არ ეკრძალებათ კაცებთან ერთად იმავე საკითხების გადაჭრა).

ძალაუფლებით განპირობებულ ურთიერთობებში, ძალაუფლების მქონეთა მთავარი მიზანია, დაკანონებულ წესრიგში დაქვემდებარებულთა მხრიდან ცვლილებების მოთხოვნის არიდება. ფემინისტი მოაზროვნეები ხშირად ხაზს უსვამენ იმას, რომ პატრიარქატის დროს ძალაუფლება კაცის ძალადობასა და სიძლიერესთან არის გაიგივებული. მაგრამ გაბატონებული წესრიგის შენარჩუნებას არც ღია ძალადობა და არც ძალა არ სჭირდება. როგორც ჩანს, უფრო ფაქიზი მექანიზმებიც საკმარისია (კიკნაძე, დონაძე, 2006).

ქალებს პოლიტიკაში იღებენ მაშინ, თუ ისინი მოქმედებენ, როგორც ნეიტრალური სქესის ინდივიდები/მოქალაქეები, ეთანხმებიან ტრადიციულ პარტიულ სტრუქტურას, თანამშრომლობენ კაცებთან და ქალთა მდგომარეობას ძალაუფლების პოლიტიკურ პრიზმაში არ განიხილავენ. მაგრამ ის ქალები, რომლებიც ამბობენ - მე ჩაგვრას განვიცდი ისევე, როგორც სხვა ქალები და ეს საერთო გამოცდილება უნდა გადავზარდოთ კოლექტიურ ქმედებაში - ისინი პოლიტიკური წრისთვის მიუღებელნი და სახიფათონიც კი არიან (კიკნაძე, დონაძე, 2006).

იშველიებს რა მილიბანდის მოსაზრებას, ედვარდსი დასძენს, რომ, ქალები თავად არიან პასუხისმგებლი იმაზე, თუ რამდენად „შედგებიან სოციალურად." ქალები პოლიტიკიდან იმიტომ გამორიყეს, რომ ისინი ქალები არიან - არსებითად განსხვავებული სქესი, მოკლებული გაერთიანებას. სასაცილოა, მაგრამ რაც უფრო ერთობლივად მოქმედებენ ქალები, როგორც ქალები (რათა ისევ ჩაერთონ პოლიტიკურში), მით უფრო „აშკარა ხდება" მათი განსხვავება კაცებისგან. რადგან იგულისხმება, რომ, თუ ქალები ნამდვილად „სოციალურად შემდგარნი არიან, ისინი კაცებთან უნდა თანამშრომლობდნენ. კაცებთან თანამშრომლობა სოციალურად მისაღებია, მაშინ როდესაც სეპარატიზმი ფუნდამენტალიზმთანაა გაიგივებული" (ედვარდსი, 1983, გვ.137).

სწორედ ეს პრობლემა იკვეთება ფემინისტური ჯგუფების ან თუნდაც ცალკეული ძლიერი ქალების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაში საქართველოს რეალობაში. ქალის სიძლიერე განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეუძლია თავისი ქმედებებით კაცს შეედაროს, ასე ვთქვათ, კაცთა ,,თამაშის წესებს" აჰყვეს და ამ წიაღში

უკვე შეუძლია საკუთარი აზრიც გამოხატოს, იყოს ძლიერი და რეალიზებული. მაგრამ როგორც კი ამ ,,თამაშის წესების“ მიღმა იწყებს საკუთარი წესებით თამაშს, იგი საზოგადოებისათვის მიუღებელ ადამიანად იქცევა და მას უამრავი სტიგმა მიეკერება. სწორედ ქალთა გაერთიანებების შექმნით ცდილობენ ქალები თავიანთი წესებით თამაშს, საკუთარი თავის რეალიზაციასა და მათთვის უკეთესი მომავლის შექმნას პატრიარქალურ სივრცეში.

ედვარდსი ასევე აღნიშნავს, რომ ქალთა გაერთიანებები და კოლექტიური ქმედება ფემინისტური პოლიტიკური თეორიის მთავარ ანალიტიკურ იარაღად მიიჩნევა და თანამედროვე პატრიარქატის საფუძველში მყოფი ძალაუფლების მექანიზმების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. დაძაბულობა ქალთა ემანსიპაციურ ქმედებასა და იმ წინააღმდეგობას შორის, რომელსაც ქალები, როგორც გენდერული ჯგუფი, აწყდებიან, არ არის მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური სინამდვილე, დაძაბულობის კვლევა იმ თეორიის განვითარების საშუალებაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სქესობრივი ძალაუფლების შენარჩუნება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა (ედვარდსი, 1983).

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ ცდილობენ დღესდღეობით საქართველოში არსებული ფემინისტური ჯგუფები იმ ძალაუფლებრივ დისკურსთან გამკლავებას, რომელიც პატრიარქალური საზოგადოების წიაღში არსებობს, რა მთავარ წინააღმდეგობებს აწყდებიან გაერთიანებების შექმნისა და მოქმედებისას და როგორ ცდილობენ არსებულ პირობებში საკუთარი ,,თამაშის წესების“ შემოტანას პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის არენაზე.

თავი II. აქტივიზმის ცნება და როლი საზოგადოების განვითარებაში

მოქალაქეთა პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობა მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებებში. ჯანსაღი დემოკრატიის პირობებში მნიშვნელოვანია, რომ მთავრობა იყოს მუდმივი კონტროლის ქვეშ და ხორციელდებოდეს მის საქმიანობაზე აქტიური დაკვირვება, რათა თავიდან აცილებული იყოს მოქალაქეთა მიმართ არაპატიოსანი დამოკიდებულება და კორუფციის შემთხვევები. იმისათვის, რომ ეფექტურად შეასრულონ ხელისუფლების მონიტორინგის ფუნქცია, მოქალაქეები უნდა იყვნენ პოლიტიკაში ჩართულნი (Wallace, 2003).

სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ ვეხმარებით ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას, როდესაც მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, ვართ ჯგუფის წევრები, თუ ორგანიზებას ვუწევთ რაიმე სახის აქტივობებს. ჩართულობის გარეშე ცხოვრება იქნებოდა სრულიად იზოლირებული და გაუცხოებული. მართლაც, ჩართულობის გარეშე საზოგადოება ვერც იარსებებდა და არ იქნებოდა დემოკრატიული არსებობის შესაძლებლობა (Newton, Montero, 2007).

ნელსონი და რაითი (1995) სამოქალაქო მონაწილეობას განმარტავენ, როგორც სოციალური ცვლილების ერთ-ერთ მექანიზმს. სამოქალაქო ჩართულობა მიზნად ისახავს, რომ მიღებული იქნას უკეთესი გადაწყვეტილებები და უფრო ეფექტური დანარჩენი საზოგადოებისათვის (Irvin, Stansbury, 2004).

მიერინას მიხედვით, არსებობს მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები, მათ შორისაა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრობაც. სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ სამოქალაქო აქტივიზმის ორ ძირითად სახეს: კონვენციური და არაკონვენციური. კონვენციური მონაწილეობა ძირითადად გულისხმობს მოქმედების ფორმალური მეთოდების გამოყენებას: პეტიციებზე ხელის მოწერა, არჩევნებში მონაწილეობა, მაშინ როცა არაკონვენციური მონაწილეობისას ხდება ღია წინააღმდეგობის გამოცხადება არსებული ინსტიტუციების მიმართ, ზოგადად მიღებული აქტივობების უგულებელყოფა და ხშირად არაფორმალური ხერხების

გამოყენება. სხვადასხვა კვლევების შედეგად, რომლებიც ეხებოდა კავშირს ინსტიტუციურ ნდობასა და კონვენციურ აქტივობას შორის (როგორიცაა, მაგ.: ხმის მიცემა ან მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩართვა), გამოვლინდა, რომ მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ, გაცილებით ხშირად მონაწილეობენ კონვენციურ აქტივობებში, იმ მოქალაქეებთან შედარებით, რომლებსაც ეს ნდობა არ გააჩნიათ. ასევე კვლევები აჩვენებს, რომ მოქალაქეები, რომლებსაც არ გააჩნიათ მთავრობის ინსტიტუციების მიმართ ნდობა, უფრო მარტივად ერთვებიან არაკონვენციურ აქტივობებში (Mierina, 2004).

საზოგადოებრივი აქტივიზმის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა მთელს მსოფლიოში არის სოციალური მოძრაობების, ჯგუფების თუ ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ბარკერი (2013) სოციალურ მოძრაობებს შემდეგი კრიტერიუმებით განსაზღვრავს:

- სოციალური მოძრაობები წარმოადგენს კოლექტიურ და არა ინდივიდუალურ ქმედებას;
- მოძრაობებს სპეციფიკური ორგანიზაციული ფორმა აქვთ, რაც განასხვავებთ მათ სხვა ერთეულებისგან, როგორებიცაა, მაგალითად, პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები და ა.შ. ეს უკანასკნელნი შეიძლება იყვნენ სოციალური მოძრაობის ნაწილი, თუმცა თავად არ წარმოადგენენ მოძრაობას. მოძრაობებს აქვთ ქსელური, მოქნილი და ცვალებადი ფორმა/ ხასიათი;
- სოციალური მოძრაობის მიზნები და სხვადასხვა პროცესები მუდმივი განხილვის საგანია მის წევრებს შორის;
- ამ საკითხების განხილვაში ჩართულნი არიან მოძრაობის ოპონენტებიც. ისინი სხვადასხვა ძალაუფლების მექანიზმებით ცდილობენ, გავლენა მოახდინონ მოძრაობასა და კლასობრივ ბრძოლაზე, რომელიც თვით მოძრაობის შიგნით (მის წევრებს შორისაც) მიმდინარეობს;
- სოციალური მოძრაობა არ არის აუცილებლად მემარცხენე ან „პროგრესული". სოციალური მოძრაობა შეიძლება ჰქონდეთ ელიტებსაც, ან მოძრაობა შეიძლება იყოს კონსერვატიული.

საზოგადოებრივი ჩართულობა თითოეულ ქვეყანაში, მჭიდროდ არის დაკავშირებული ისეთ ცვლადებთან, როგორებიცაა, კანონის უზენაესობა, ეროვნული სიმდიდრე,

თანაბარი შემოსავალი, კანონი და წესრიგი, მთავრობის ეფექტურობა და პოლიტიკური სტაბილურობა. ამათგან, ყველაზე დომინანტურ ფაქტორად რჩება კანონის უზენაესობა. აქედან გამომდინარე, ქვეყნები, რომლებშიც ნაკლები კორუფცია, დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი, მიუკერძოებელი და კანონზე დამყარებული მართლმსაჯულებაა, ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება (Newton, Montero, 2007).

კიდევ ერთი ცნება, რომელიც კავშირშია სამოქალაქო ჩართულობასთან, არის პოლიტიკური ქმედითობის ცნება. პოლიტიკური ქმედითობა შეიძლება განიმარტოს, როგორც შეგრძნება, როცა ინდივიდუალურმა პოლიტიკურმა ქმედებამ შესაძლებელია გავლენა იქონიოს პოლიტიკურ პროცესებზე. პოლიტიკური ქმედითობა ღრმადაა ფესვგადგმული დემოკრატიის პრინციპებში და ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მუშაობის ხარისხზე. ნებისმიერი სახის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო აქტივობაში ჩართვა დროს და რესურსს მოითხოვს, შესაბამისად, ადამიანები განიხილავენ მოსალოდნელ შედეგებს, სანამ ქმედებაზე გადავლენ. თუ ადამიანებს სწამთ, რომ მათი ქმედება გარკვეულ სარგებელს მოიტანს, გააუმჯობესებს მათი ცხოვრების პირობებს, მოსალოდნელია, რომ ისინი ამ აქტივობებში მონაწილეობას მიიღებენ. სამოქალაქო აქტივობების უმეტესობა პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებისკენაა მიმართული. თუ ადამიანებს არ სჯერათ, რომ პოლიტიკოსები მათი ქმედებების საპასუხო რეაქციებს განახორციელებენ და მათი შესაძლებლობის, რომ შეუძლიათ გავლენა იქონიონ პოლიტიკურ პროცესებზე, ამ შემთხვევაში ისინი, უმეტეს შემთხვევაში, უარს იტყვიან პოლიტიკურ ან სამოქალაქო საქმიანობაში ჩართვაზე (Mierina, 2004).

პოლიტიკური და სოციალური ჩართულობის მხრივ ქვეყნები ერთნაირი აქტიურობით არ ხასიათდებიან, თუმცა არსებობენ ქვეყნების ჯგუფები, რომლებიც ამ მხრივ ერთმანეთს ძალიან გვანან. ჩრდილოეთის ქვეყნები (ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია, დანია და ნიდერლანდები) გამოიყოფა ერთად, როგორც სამოქალაქო აქტივიზმში ყველაზე აქტიურად ჩართული ქვეყნები. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები (საბერძნეთი, პორტუგალია, იტალია და ესპანეთი), ზოგადად, სამოქალაქო ჩართულობის დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა, ისევე როგორც ცენტრალური ევროპის ქვეყნები (პოლონეთი,

უნგრეთი, სლოვენია და ჩეხეთი). აღსანიშნავია, რომ ქვეყნებს საერთო საზღვრითა და შედარებით მსგავსი კულტურებით, სამოქალაქო ჩართულობის ერთნაირი მაჩვენებელი აქვთ (Newton, Montero, 2007).

ასევე, სამოქალაქო მონაწილეობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საჯარო მოხელეებმა გადაწყვეტილებები მიიღონ მას შემდეგ, რაც უფრო ინფორმირებული იქნებიან ამა თუ იმ საკითხზე. თუ მოქალაქეები არ გააცნობენ თავიანთ შეხედულებებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ეს უკანასკნელნი ნათლად ვერ დაინახავენ საერთო სურათს, შესაბამისად, მიიღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს, რომელიც შედეგად გააუარესებს მოქალაქეთა მდგომარეობას. ეს მომენტი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია დაჩაგრულ და მარგინალიზებულ ჯგუფებთან მიმართებაში. მსგავსი ჯგუფების შეხედულებები ხშირად ვერ აღწევს პოლიტიკურ დონემდე და არ ხდება პოლიტიკური განხილვის საგანი. ამის გამო, მსგავსი ჯგუფების შეხედულებები, პერსპექტივები, არჩევანი აქტიურად უნდა იქნას გამოხატული მათი წევრების მიერ, რათა მათი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან თემებზე გადაწყვეტილებს მიღებისას, ეს შეხედულებები იყოს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ (Wallace, 2003).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური მონაწილეობა მოითხოვს სპეციფიურ შესაძლებლობებს და არსებობს შეხედულება იმის შესახებ, რომ მოქალაქეები განიცდიან ცოდნის, კომპეტენციისა და გამოცდილების ნაკლებობას, რათა სწორად განსაჯონ პრობლემა და მიიღონ ადეკვატური გადაწყვეტილება (Wallace, 2003).

ირვინი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ჩართულობა საჯარო მოვლენებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს აშშ-ის პოლიტიკურ კულტურაში. ენთუზიაზმი მოქალაქეთა გაერთიანებისა და მათი როლის გაძლიერებისა დემოკრატიულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არ არის მხოლოდ ამერიკული ფენომენი, არამედ ბევრ ქვეყანას აქვს მსგავსი ინიციატივა, რომ სამოქალაქო სექტორი აქტიურად ჩართოს მმართველობით პროცესებში. სამოქალაქო ჩართულობის გააქტიურება იმ მიზეზითაც ხდება, რომ ეს წარმოქმნის კიდევ უფრო ხალხზე ორინტირებულ

გადაწყვეტილებებს და შესაბამისად, შეაჩერებს საჯარო ნდობის ფაქტორის კლების პროცესს, რომელიც ხშირად გამოხატება მთავრობის მიმართ ფართოდ გავრცელებულ მტრულ დამოკიდებულებაში (Irvin, Stansbury, 2004).

სამოქალაქო ჩართულობის უპირატესობაზე საუბრისას, ნელსონი და რაითი (1995) გამოყოფენ სამოქალაქო ჩართულობას, როგორც ტრანსფორმაციულ საშუალებას სოციალური ცვლილების განსახორციელებლად. ამასთან ერთად, სამოქალაქო ჩართულობის მიზანია, წარმოქმნას უკეთესი გადაწყვეტილებები და შესაბამისად, უფრო მეტი სარგებელი დანარჩენი საზოგადოებისათვის (ბეირლე 1999, ტომასი 1995). ირვინი გამოყოფს ჩართულობის გაზრდის სასარგებლო არგუმენტებს როგორც სამოქალაქო პირებისათვის, ასევე მთავრობისათვის. იგი აღნიშნავს, რომ შესაბამისად, ჩვენ ვიღებთ სარგებლიანობის ორ რიგს (პროცესები და შედეგები):

	ჩართული სამოქალაქო პირების სარგებელი	მთავრობის სარგებელი
გადაწყვეტილების მიღების პროცესი	➢ განათლება (სწავლა და ინფორმირება მთავრობის წარმომადგენლების); ➢ მთავრობის დარწმუნება და ცოდნის მიცემა; ➢ აქტიური სამოქალაქო ჩართულობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება.	➢ განათლება (სწავლა და ინფორმირება მოქალაქეებისა); ➢ მოქალაქეთა დარწმუნება -ნდობის წარმოქმნა და მტრული დამოკიდებულების გაქრობა; ➢ სტატეგიული ალიანსების ჩამოყალიბება; ➢ გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობის ამაღლება.
შედეგები	➢ შედეგების მიღწევა; ➢ კონტროლის მიღწევა სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებზე; ➢ უკეთესი პოლიტიკური და იმპლემენტაციური გადაწყვეტილებების მიღება.	➢ შედეგების მიღწევა; ➢ სასამართლო დავების თავიდან აცილება; ➢ უკეთესი პოლიტიკური და ინპლემენტაციური გადაწყვეტილებების მიღება.

(Irvin, Stansbury, 2004, p.3)

სამოქალაქო აქტივისტებს შესაძლოა ჰქონდეთ რეგულარული კონტაქტი მთავარ სამთავრობო სტრუტურებთან და გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან და შეუძლიათ

გამოხატონ თავიანთი შეხედულებები არაწინააღმდეგობრივ გარემოში. იშველიებს რა მკვლევართა აზრს, ირვინი განმარტავს, რომ შესაძლებელია მოქალაქეთა საკონსულტაციო საბჭოს ჰქონდეს შესაძლებლობა, პირისპირ შეხვდეს და პირადად დაარწმუნოს გადაწყვეტილების მიმღები პირები და სხვებმა კი წაახალისონ სამოქალაქო მონაწილეობა, როგორც ერთ-ერთი გზა ძალაუფლებას მოკლებულ მოქალაქეებს ასწავლონ საზოგადოების სხვა ჯგუფებთან ურთიერთობა და ლეგიტიმურობის მოპოვება (Irvin, Stansbury, 2004).

ირვინი ასევე საუბრობს სამოქალაქო ჩართულობისთვის იდეალურ პირობებზე და დასძენს, რომ მთავარი ფაქტორები იდეალური სამოქალაქო ჩართულობისთვის არის გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობა, კომპეტენტური და მიუკერძოებელი ჯგუფის წარმმართველები, რეგულარული შეხვედრები, ადეკვატური ფინანსური რესურსები პროცესების მხარდასაჭერად და ხანგრძლივი სასწავლო და გადაწყვეტილების მიმღები პროცესებისათვის. მიუხედავად ამ სტრატეგიების გამოყენებისა, ინიციატივის წარმატება, რომ იგი კონკრეტულ შედეგამდე მივიდეს, შესაძლოა დიდად დამოკიდებული იყოს აქტივიზმის ადგილზე (Irvin, Stansbury, 2004).

დანიკა მინიკი თავის სტატიაში ,,ფემინისტური მედია თეორია და აქტივიზმი'' (2007) კიდევ ერთ პრობლემას გამოყოფს, რომელიც აქტივიზმს ახასიათებს და აღნიშნავს, რომ, როგორც წესი, აქტივისტები თეორიას არ კითხულობენ, შესაბამისად, არა აქვთ საკმარისი ცოდნა, რომელიც საჭიროა აქტივიზმის განხორციელებისათვის მაშინ, როდესაც თეორიტიკოსებს არ აქვთ სურვილი და მოვალეობა, ჩაერთონ აქტივიზმში ან ,,დაეხმარონ" ქალებს უფლებების დაცვაში. პირველ შემთხვევაში, არსებობს თეორიის ნაკლებობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - პრაქტიკის. თუმცა, მცდელობები იმისა, რომ აკადემიური ფემინიზმი აქტივიზმში გადავიდეს, ხშირად გვიჩვენებს წინააღმდეგობებს ფემინისტურ თეორიასა და ფემინიზმს, როგორც პრაქტიკულ პოლიტიკას შორის.

სამოქალაქო კონვენციურ აქტივობებში საზოგადოების ჩართულობის კუთხით, საქართველო შეგვიძლია ერთ-ერთი არააქტიურ ქვეყნად ჩავთვალოთ. ამას ადასტურებს ,,კავკასიის ბარომეტრის" 2017 წლის კვლევის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ყველა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელ მოქალაქეთა საშუალოდ

მხოლოდ 8% აწერს ხელს რაიმე სახის პეტიციას, მოთხოვნას ან ავსებს ონლაინ პეტიციას, ხოლო საშუალოდ 23%-მა გააკეთა კომენტარი მნიშვნელოვან საკითხზე სოციალური მედიასა თუ სხვა ონლაინ პლატფორმებზე (CRRC Georgia, 2017). ამრიგად, საქართველო ზოგადი სამოქალაქო ჩართულობის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

2.1 სოციალური კაპიტალის როლი სამოქალაქო აქტივიზმში

ვალასი საუბრობს სოციალური კაპიტალის მნიშვნელობაზე აქტივიზმის განხორციელებისას. მისი თქმით, **სოციალური კაპიტალი** არის ინვესტიცია სოციალურ ურთიერთობებში, რომლისგანაც ველით შედეგებს. ინდივიდები ერთვებიან სოციალურ ქსელებსა და ურთიერთობებში მოგების გამომუშავების მიზნით. ის არის ეფექტური მექანიზმი, რამდენადაც იძლევა ინფორმაციას ,,ბაზარზე" არსებული აქტორების შესახებ, მისი საშუალებით შესაძლებელია სხვა აქტორებზე ზემოქმედების მოხდენა და ის არის ერთგვარი სოციალური გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს ნდობის ამაღლებას და შეიძელება იყოს საზოგადოების ფსიქოლოგიის გაძლიერების ერთ-ერთი ფორმა (Wallace, 2003).

პუტნამის მიხედვით, სოციალური კაპიტალი განიხილება, როგორც კულტურული ფენომენი, რომელიც აღნიშნავს საზოგადოების წევრთა სოციალური გათვითცნობიერების დონეს, სოციალური ნორმების ბუნებას, რომელიც ხელს უწყობს კოლექტიურ ქმედებას, ასევე ზრდის ნდობის ხარისხს სოციალური ინსტიტუციების მიმართ. პუტნამი გამყოფს ორი სახის სოციალურ კაპიტალს, ესენია, ერთი მხრივ, არაფორმალური სოციალური კაპიტალი (bonding social capital), რომელიც გულისხმობს მჭიდრო სოციალურ კავშირებს პირველადი ჯგუფის წევრებს შორის; მეორე მხრივ, არსებობს დამაკავშირებელი-ფორმალური სოციალური კაპიტალი (bridging social capital), რომელიც გულისხმობს კავშირებს მეორადი ჯგუფის წევრებს შორის, რაც, ასევე, სამოქალაქო ჩართულობის განმაპირობებელი ფაქტორია. ეს უკანასკნელი არსებობს საზოგადოებრივ ასოციაციებს შორის სამოქალაქო ჩართულობის პროცესში (Wallace, 2003).

სოციალური კაპიტალის როლი გარდამავალ საზოგადოებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ვალასის თქმით, ფართოდ გავრცელებული და ცნობილი ფაქტია ის, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეებს ძალიან დაბალი ნდობა აქვთ საჯარო დაწესებულებების მიმართ (გარდა ეკლესიისა). ეს ძირითადად შედეგია კომუნისტური რეჟიმისგან მიღებული გამოცდილებებისა და მისი დაცემის შედეგად მომხდარი ცვლილებების. ისინი არ ერთიანდებიან ასოციაციებში, შესაბამისად, არც ფორმალურ სოციალურ კაპიტალს ზრდიან. როდესაც ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა საკითხში, ეს არ ხდება ფორმალური სოციალური ასოციაციების ფარგლებში, არამედ არაფორმალური ქსელებით შემოიფარგლება. ამგვარი არაფორმალური ინსტიტუციებისა და არხების არსებობამ ხელი შეუწყო ადამიანებს, გამკლავებოდნენ უმძიმეს სირთულეებს რეჟიმის ცვლილებს პირობებში. თუმცა, საბაზრო ეკონომიკასთან ერთად, არაფორმალური არხები სულ უფრო და უფრო დასუსტდა და ხალხი უფრო იზოლირებული გახდა ერთმანეთისგან მაშინ, როცა მათ ყველაზე მეტად დასჭირდათ კონტაქტები მათი პოზიციების გასაძლიერებად ახალი საზოგადოებრივი დღის წესრიგის პირობებში (Wallace, 2003).

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური კაპიტალი ითვლება კარგ საშუალებად საზოგადოებრივი კავშირების შექმნისათვის, სოციალური კავშირები შესაძლოა გამოყენებული იქნას სოციალური უთანასწორობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. მაგალითად, ბევრი ფემინისტი აღნიშნავს, რომ ,,ძველი ბიჭების კლუბების“ არსებობა ხელს უწყობს, რომ კაცებმა რესურსები თავისთვის დაიტოვონ და გარიყონ ქალები საჯარო პოზიციების დაფიქსირების არეალიდან (Wallace, 2003).

სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა დიდია ქართული ფემინისტური აქტივიზმის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ ყველა მნიშვნელოვანი აქტივისტური სახის ღონისძიება და პერფორმანსი, რომელიც საქართველოში ფემინიზმის სახელით ხდება, არის შედეგი ფემინისტურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობისა. მაგალითად, 25 ნოემბრის აქცია, რომელიც განხორციელდა ფემინისტური მოძრაობების გაერთიანების საფუძველზე, ისევე როგორც ყოველწლიური აქცია 8 მარტთან დაკავშირებით.

2.2 ქალთა სამოქალაქო ჩართულობა

პოლიტიკური და სოციალური ჩართულობის წახნაგები ხშირად განსხვავებულია გენდერულ დონეზეც. აღსანიშნავია ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი. სხვადასხვა კვლევების მონაცემების მიხედვით, ამ დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს ფაქტორები, რომლებიც სამ ძირითად ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: კულტურული და სოციეტალური (მაგ.: ქვეყნის რელიგიური მრწამსი, ქვეყნის ეკონმიკური განვითარების დონე, დემოკრატიული ტრადიციების არსებობის ხანგრძლივობა ქვეყანაში), სოციალური (მაგ.: განათლების დონე, დასაქმება, ქორწინება, დედობა) და სამოქალაქო (მონაწილეობის დონე არაფორმალურ პოლიტიკაში, მოხალისეობრივ სამოქალაქო ორგანიზაციების წევრობა) (Wallace, 2003).

იმისთვის, რომ მოხდეს სამოქალაქო მონაწილეობის გენდერული ანალიზი, მთელი რიგი პირობები უნდა იქნას გათვალისწინებული. ეს პირობები ძირითადად სამ შრეს მოიცავს: მონაწილეობის **სტრუქტურული შესაძლებლობა** (დაკავშირებულია გენდერული განსხვავებულობით განპირობებულ შესაძლებლობებთან, ინდივიდი ჩაერთოს ორგანიზაციულ და ასოციაციურ ცხოვრებაში), ამ ორგანიზაციული სტრუქტურის **ეფექტები**, რომლებსაც ის ახდენს ქალისა და კაცის საჯარო ჩართულობის მიმართ მათ შეხედულებებზე, და კომბინაცია მაკრო და ინდივიდუალური ფაქტორებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდების **მზაობას,** საჯარო ჩართულობას დაუთმონ თავიანთი დრო და ენერგია (Wallace, 2003).

სოციალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ვხვდებით, რომ ასაკი, განათლების დონე და შრომის ბაზარზე ჩართულობა უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალის პოლიტიკური ჩართულობის დონეზე, ვიდრე კაცის. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ქალთა სოციალურ ჩართულობასა და აქტიურობას, არის დროის ფაქტორი და შესაბამისად, დროის რესურსების ნაკლებობა, რომელიც ზღუდავს ქალთა პოლიტიკური ჩართულობის შესაძლებლობებს. და მესამე და მთავარი განზომილება არის ფსიქოლოგიური მინიშნებები, რომლებსაც ავრცელებენ ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ

გენდერული პატერნების შექმნაში. კულტურული და სოციალური ნორმები, რელიგიის ჩათვლით, ასევე გასათვალისწინებელია ამ საკითხზე მსჯელობისას (Wallace, 2003).

,,ფემინისტურ დიალოგში“ (2017) ნათქვამია, რომ ქართულ ფემინიზმში ავტონომიურობა მნიშვნელოვან ნორმად ფიგურირებს. ფემინისტი აქტივისტები ავტონომიისა და დღის წესრიგზე კონტროლის მოსაპოვებლად მიმართავდნენ სეპარაციულ ტექნიკებს, რაც კაცებით დომინირებული პოლიტიკური ორგანიზაციებისგან ან მოძრაობებისგან სივრცობრივ და ინტერაქციულ გამიჯვნას გულისხმობს. ამ კუთხით, ფემინისტური სეპარაციის მაგალითებია ,,ქალთა მზერა“, ,,ქალთა მოძრაობა“ და სხვ. თუმცა ავტონომიურობის კიდევ ერთი მახასიათებელია ის, რომ მოძრაობა საკუთარ მიზნებს თვითონ ქმნის.

ქეროლ ჰარინგტონი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ სოციალური მოძრაობები არის აქტივიზმის იმგვარი ფორმა, როდესაც პოლიტიკური აუტსაიდერები ელიტაზე გავლენის მოსახდენად გზას პოულობენ. მოძრაობის გავლენა მდგომარეობს შესაძლებლობაში, გაიტანონ პოლიტიკური ცვლილებები ელიტის საწინააღმდეგოდ. როდესაც ცვლილების მიმართ მასის მისწრაფების საჯარო გამოვლენას ხშირად ხედავენ, ელიტები ხანდახან გრძნობენ, რომ ფართო პოლიტიკური წესრიგის სტაბილურობის შესანარჩუნებლად სხვა გზა არა აქვთ, გარდა იმისა, რომ სოციალური მოძრაობების მოთხოვნებს დაეთანხმონ ან კომპრომისზე წავიდნენ. სოციალური მოძრაობების ბერკეტი შეიძლება საკუთარი მიზნისთვის ელიტის აქტორების რეკრუტირებაც იყოს. ელიტებს საჯარო გადაწყვეტილებების მიღებაზე რუტინული წვდომა აქვთ. ამავე დროს, მათი პოლიტიკური მიზანი შეიძლება სოციალურ მოძრაობებთან შეკავშირებაც იყოს. ამრიგად, თუმცა ქალთა მოძრაობები პოლიტიკური გარიყვის შედეგად აღმოცენდა, ისინი პოლიტიკურ ინსაიდერებთან ალიანსით განვითარდა და მათზე მოქმედების პოლიტიკა წარმატებულად გამოიყენეს (Harrington, 2013).

ქალთა მოძრაობები არა მხოლოდ აიძულებს ელიტას დათმობაზე წასვლას სიტყვებისა და სახე-ხატების ჭკვიანური მანუპულირებით, არამედ ქალთა მოძრაობების ძალაუფლება მდგომარეობს მათ მიერ ქალების (როგორც ადამიანთა

ტრანსნაციონალური კატეგორიის) შესახებ ცოდნის კონსტრუირებაში (Harrington, 2013).

ხშირად სოციალური მოძრაობის თეორიტიკოსები „სქემის" ცნებას იყენებენ. ამით ისინი აანალიზებენ, თუ როგორც იყენებენ მოძრაობები ეფექტურ ძალაუფლებას იმით, რომ თავიანთ უკმაყოფილებას გათვითცნობიერებულად გამოხატავენ სქემის სახით.

მაგალითად, 1990-ანი წლების დასაწყისში, ფემინისტებმა დაიწყეს სლოგანის პოპულარიზება - ,,ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია" და შექმნეს სქემა, რომლის მიხედვითაც, ქალებზე ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევად არის მიჩნეული. ამგვარი სქემა პრობლემას ათავსებს ძალადობისა და უფლებების უფრო დიდ სქემებში, ანუ უფრო დიდ გავლენას მოიპოვებენ მოძრაობები, რომლებიც თავიანთ მოთხოვნას პოლიტიკური უსამართლობისა და უფლებათა დარღვევის უკვე აღიარებულ მაგალითთან მიმართებით განსაზღვრავენ (Harrington, 2013).

მეორე მხრივ, ჰარინგტონი მიიჩნევს, რომ თეორიული გამიჯვნა ელიტას (ძალაუფლების მქონე) და ძალაუფლების არმქონე სუბიექტებს შორის სწორედ სოციალურ მოძრაობათა თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ მოხდა. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მოძრაობები უფრო ნაკლებად დიქოტომიური მოდელით იქნას განხილული და სწორედ ასეთ მოდელს წარმოგვიდგენს governmentality-ის თეორიის სახით. ჰარინგტონი ამ თეორიით შეისწავლის იმ ურთიერთთანამშრომლობის ბუნებას, რომლებიც არსებობს ქალთა მოძრაობებსა და გაეროს შორის. გაერო ახორციელებს პროექტებს ქალთა უფლებების თემაზე და წამოჭრის ხოლმე ისეთ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო თემებს, როგორიცაა, მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობა. თუმცა ჰარინგტონი აღნიშნავს, რომ ეს თემები სულაც არ არის თავისუფალი მოძრაობების მუშაობის პროდუქტი, არამდე ქალთა ორგანიზაციების, რომლებიც შერწყმულნი არიან ნეოკოლონიური მმართველობის სისტემას. გლობალური ნეოკოლონიური პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი, მისი აზრით, არის სწორედ სოციალურ მოძრაობათა NGO-იზაცია. შესაბამისად, NGO-ების მიერ წარმოებული პოლიტიკა ფოკუსირებულია ნეოკოლონიური პოლიტიკის მიზნების გატარებაზე (Harrington, 2013).

ჰარინგტონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი გახდება, რომ საქართველოში არსებული არასამთავრებო მოძრაობები, რომლებიც დონორებისგან ფინანსდებიან, ხშირად ხდებიან ნეოკოლონიური პოლიტიკის მიზნების ერთგვარი ,,გამტარნი" და მათი დღის წესრიგი, მოქმედების სქემა ძირითადად წინასწარ გაწერილია საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორების მიერ.

მიუხედავად დონორებთან მიმართებაში არსებული შეზღუდვებისა, რომელიც აქტივიზმის ერთ-ერთ მთავარ (არა ერთადერთ) პრობლემას წარმოადგენს, უნდა აღინიშნოს, რომ აქტივიზმის წვლილი, განსაკუთრებით კი, ფემინისტური აქტივიზმის კონტექსტში, შეუცვლელია დემოკრატიულ ქვეყნებში, რამდენადაც მოქალაქეთა პოლიტიკურ თუ სოციალურ აქტივიზმს წინა პლანზე გამოაქვს ის ძირითადი და ზოგჯერ საზოგადოების განვითარებისთვის ფუნდამენტური პრობლემები, რომელიც კონკრეტულ საზოგადოებაში არსებობს, ახასიათებს კონკრეტულ მარგინალიზებულ თუ დაჩაგრულ ჯგუფს, ხოლო აქტივიზმი ზოგადად და კონკრეტულად, ჯგუფების, NGO-ებისა თუ სხვა მოძრაობების სახით, შეძლებისდაგვარად ცდილობს მათ აღმოფხვრას და პოლიტიკურ დონეზე მრავალი ინსტიტუციური ცვლილების განხორციელებას საზოგადოებაში თანასწორობისა და კეთილდღეობის გაზრდის მიზნით.

2.3 პოსტსაბჭოთა ფემინისტური აქტივიზმის ზოგადი მიმოხილვა

სამოქალაქო აქტივიზმის დაბალ მაჩვენებელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რიგი ფაქტორები განაპირობებს. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისაა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებას ზოგადად არასწორად ესმის აქტივიზმის ცნება და სამოქალაქო მონაწილეობის დაბალ მაშვენებელს ხშირად მთავრობის მიზანმიმართული პოლიტიკაც განაპირობებს.

მაგალითისთვის, განვიხილოთ რუსული კონტექსტი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთში ჩამოყალიბებული არასამთავრობო ორგანიზაციები ფემინიზმის კუთხით, ბევრ კრიტიკას უძლებდა, მათ შორის ყველაზე აქტუალური იყო

კონსერვატიული არგუმენტები იმის შესახებ, რომ დემოკრატია და მასთან დაკავშირებული ღირებულებები (სამოქალაქო საზოგადოება, ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები) არის უცხოეთიდან შემოტანილი თემები და არანაირად არ მოდის შესაბამისობაში რუსულ რეალობასთან. მსგავსი სახის არგუმენტები საკმაოდ ძლიერადაა ფესვგადგმული დღევანდელი რუსულ პოლიტიკურ დისკურსში. პუტინის ადმინისტრაციამ აშკარად გამოხარტა მტრული დამოკიდებულება და გარკვეული სანქციები დაუწესა არასამთავრობო აქტივისტურ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც უცხოური დონორები აფინანსებენ. შედეგად 1990-ან წლებში უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების როლი რუსეთში შემცირდა და ქალთა ორგანიზაციების და ჯგუფების დაფინანსების სტატისტიკა, შესაბამისად, საგრძნობლად დაეცა (Hemment, 2007).

პოსტსაბჭოთა რუსეთის ქალთა აქტივიზმი საგრძნობლად შორდება გლობალურ კონტესტს საკვანძო საკითხებში. მაშინ როცა ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და სხვა სამხრეთის ქვეყნებში, ე.წ. ,,ენჯეოიზაცია'' გულისხმობდა მათ თანამშრომლობას უკვე არსებული ბრძოლებთან და სოციალურ მოძრაობათა ,,დემობილიზაციის“ კონტექსტში მუშაობას, განსხვავებით რუსეთისა და სხვა პოსტ-სოციალური ქვეყნების შემთხვევაში, სადაც ტრაექტორია ამ მხრივ საკმაოდ განსხვავებულია. აქ სოციალურ აქტივიზმს ძალიან ახალი და მყიფე ფესვები გააჩნია. რადგანაც საბჭოთა პერიოდში დამოუკიდებელი სოციალური ორგანიზმების არსებობა აკრძალული იყო. ასოციაციური სახის აქტივობების აღორძინება იწყება ინტელექტუალთა წიაღში და არ აქვს პოპულარული ბაზისი. ფემინიზმი რუსეთში ყოველთვის იყო ელიტის იდენტიფიციების ფორმა. როცა ბაზარზე ორიენტირებულმა, დემოკრატიულმა რეფორმებმა დაიწყო აღმოცენება, აქტივიზმმა და გენდერის ცნებამ სხვა დატვირთვა შეიძინა. ეს დაეხმარა ქალებს, რომ გარკვეულიყვნენ ძალადობრივ სოციალურ და ეკონომიკურ უწესრიგობებში, რომლებიც ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკის შედეგი იყო. როგორც სხვადასხვა ფემინისტური ჯგუფების აქტივისტთა მონათხრობიდან ვიგებთ, გენდერი გახდა ძლიერი განმარტებითი ჩარჩო, რომელიც დაეხმარა მათ წარსულის ინტერპრეტირებასა და პერსონალური თუ სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად დინამიკური პროექტების დაწყებაში. რამდენადაც,

ქალთა აქტივიზმთან მატერიალური რესურსები (ფონდები და გრანტები) მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მათი აქტივიზმის ბუნება საზღვრებში მოექცა. ამან ისინი სხვა სახის რეალობაში გადაიყვანა და სხვა სახის პოლიტიკის წინაშე დააყენა (Hemment , 2007).

მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების წიაღში მოქმედება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. დონორები პერიოდულად საშუალებას აძლევენ ჯგუფებს ჩაერთონ სხვადასხვა სახის გრანტებში. ამ გრანტებზე მუშაობა (პროექტების წერა და დაფინანსების პირობებში გარკვევა) დიდ დროს ართმევს აქტივისტებს და NGO დღის წესრიგი არ უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო შრომის პირობებით. NGO-ს წევრები ხშირად დაუცველები არიან ამ მხრივ. იმ შემთხვევაში თუ მათ არ აქვთ გარკვეული კავშირები პოლიტიკურ პარტიებთან ან უფლებამოსილ პირებთან სახელისუფლებო აპარატში, ისინი მოქმედებენ მათი პატრონაჟის გარეშე და ხშირად მატერიალური გაღარიბების პირობებში. ენჯეოს მუშაობა ხშირად ნარჩუნდება აქტივისტთა მეუღლეების, შვილების, მეგობრების ფინანსური მხარდაჭერის წყალობით (Hemment , 2007).

ამ მხრივ ქართული კონტექსტი რომ განვიხილოთ, როგორც თამთა მელაშვილი (2014) აღნიშნავს, „ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა სიმრავლე არ იყო და არ არის კავშირში მათ ეფექტურობასთან. ხშირ შემთხვევაში, ფინანსური დამოკიდებულება დონორზე ზღუდავს ორგანიზაციათა ავტონომიურობას, ასევე მათ თანმიმდევრულობას და მდგრადობას. დონორთა მოთხოვნებზე ორიენტირებული ქალთა ორგანიზაციები ადვილად ცვლიან პრიორიტეტებს დონორთა ინტერესების მიხედვით“.

,,ფემინისტურ დღიურებში“ (2018) დონორთან დამოკიდებულებაზე საუბრისას აღნიშნულია, რომ აქტივისტთა სამივე თაობისთვის პრობლემურია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დონორებზე დამოკიდებულება და მათგან ავტონომიურობის მიღწევა. ავტონომიურობაზე მოთხოვნა იზრდება: როდესაც ფემინისტები ყოველდღიური მუშაობის დროს აწყდებიან პრობლემებს, რომლებსაც დონორების მიერ ნაკარნახევი პოლიტიკა ვერ აგვარებს (ფემინისტური დღიურები, 2017, გვ. 38).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა პოსტსაბჭოთა საზოგადოების აქტივიზმისა განხილულია სტატიაში ,,SOS თბილისი - პოსტკომუნისტური პრობლემები” (2017),

რომელიც თანამედროვე გარემოსდაცვითი აქტივიზმის პრობლემებსა და გამოწვევებს განიხილავს, ნათქვამია, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ერთვებოდნენ პოლიტიკაში იმდენად, რამდენადაც ამ პოლიტიკის მიმღები პირები და არა აქტიური მონაწილეები. საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. ანუ საქართველოს მოსახლეობა ჯერ კიდევ არ გამოსულა პოსტსაბჭოთა იდეოლოგიური შეხედულებებიდან, რომლის მიხედვითაც ყველაფერი წინასწარ წყდება ,,ზემოთ" და მათ არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ. სწორედ ეს მიდგომა ხდება მიზეზი იმისა, რომ მოქალაქეებს არ გააჩნიათ გამოცდილება სამოქალაქო მონაწილეობის მხრივ, განსაკუთრებით კი მასობრივი მობილიზების კუთხით.

2.4 ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

საქართველოში დღესდღეისობით არსებული ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაანალიზების შედეგად, ნათელი ხდება, რომ წინა წლებთან შედარებით, ამ მხრივ მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა და ზოგიერთ შემთხვევაში, მდგომარეობა სავალალოა.

სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშს თუ გადავხედავთ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, საერთო სურათი გვიჩვენებს ბევრ პრობლემას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით დღემდე არსებობს. მოიმატა ფემიციდისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებმა, თუმცა ამ მხრივ განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული აღმკვეთი ღონისძიებები, გამოვლინდა ბევრი ინსტიტუციონალური ნაკლი, რაც მეთოდების შემუშავებისა და დანერგვისას გააჩნია სახელმწიფო სამსახურებს. 2016 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით, 144 ქვეყანას შორის 114-ე ადგილზეა. საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, აღმასრულებელ ხელისუფლებაში 18 მინისტრიდან მხოლოდ 2 ქალია და ამ მხრივ მდგომარეობა გაუარესდა.

ეს იმ ფონზე ხდება, როცა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 74% მიიჩნევს, რომ არჩევით თანამდებობებზე ქალები და კაცები ერთნაირად ან ქალები კაცებზე უკეთ მუშაობენ (NDI, 2016). მიუხედავად ამისა, რეალობა განსხვავდება კვლევის შედეგებისას და ქალები აგრძელებენ ე.წ. ,,შუშის ჭერის" ქვეშ ცხოვრებას, რაც გულისხმობს კარიერული ზრდის პროცესში არსებულ ხილული და უხილავი ბარიერების არსებობას. ისინი ყოველდღიურად აწყდებიან სხვადასხვა სახის დაბრკოლებებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის კვალდაკვალ.

დიდ პრობლემას წარმოადგენს არა მარტო პოლიტიკურ არენაზე, არამედ ზოგადად შრომით სფეროში ქალთა უფლებების დასაცავად ქვეყანაში არსებული არაეფექტური მექანიზმები. ქალ და კაც დასაქმებულთა არათანაბარი ანაზღაურება, რომელიც ოჯახის დონეზეც იწვევს სეგრეგაციას, რადგან კაცთა ფინანსური უპირატესობა ოჯახში, თითქოს, მას სხვა უფლებრივ უპირატესობებსაც ანიჭებს და ამ ფონზე ქალი ორმაგად იჩაგრება როგორც სამსახურეობრივ, ასევე ოჯახურ ასპარეზზეც.

2.5 ქართული ფემინისტური ჯგუფების აქტივობებათა ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში აქტივისტური ჯგუფების გააქტიურება სამი ძირითადი ფემინისტური ტალღის ფარგლებში შეგვიძლია მოვაქციოთ. „სავარაუდოა, რომ ისტორიული, სოციო-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის ცვლილება განაპირობებდა თაობების განსხვავებული ორგანიზების ფორმებს, იდეოლოგიურ პოზიციონირებას და დღის წესრიგს'' (ფემინისტური დიალოგი, 2017).

პირველი ტალღის ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ლიკა ნადარაია ამ სამ ტალღას სახელმწიფოებრივი მმართველობის 3 სხვადასხვა ეპოქას უკავშირებს დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში. ის საქართველოში ფემინისტური მოძრაობის შემდეგ ეტაპებს გამოყოფს: „შევარდნაძის მმართველობის ეტაპს, სააკაშვილის მმართველობის ეტაპს და „ოცნების" მმართველობას" (ნადარაია,

2017, გვ.54). გამომდინარე იქიდან, რომ სამივე მმართველობის პირობებში, ფემინისტური აქტივიზმის მიმართ აქტივისტთა განსხვავებულ მეთოდებსა და მიდგომებს გამოვყოფთ, გასათვალისწინებელია შიდაპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებაც, რაც განაპირობებდა გარკვეულწილად აქტივიზმის ზოგადი ჩარჩოს ჩამოყალიბებას.

პირველი ტალღის ასპარეზზე გამოჩენა პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში, არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე მოხდა. ეს ტალღა, რომელიც 90-ან წლებში გააქტიურდა, ძირითადად, ფორმალურ და კანონმდებობრივ ცვლილებებზე იყო ფოკუსირებული და ისინი ცდილობდნენ ხმა მიეწვდინათ მთავრობისათვის და სამთავრობო დონეზე ინსტიტუციონალური ცვლილებები განეხორციელებინათ. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში ფემინიზმი არ იყო დაკავებული ქუჩის აქციებით და მხოლოდ კონვენციური სახის აქტივობებით შემოიგარგლებოდა: ,,ამ დროს საფუძველი ჩაეყარა ქალთა საკითხების კვლევებს, ფემინისტური და გენდერული თემატიკის მქონე ბიბლიოთეკებს, საგანმანათლებლო პროგრამებს ქალთა უფლებებზე, სამშვიდობო საქმიანობას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის საკონსულტაციო ცენტრების გახსნას ქალთა ორგანიზაციების ბაზაზე, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდაზე მიმართულ ადვოკატირების კამპანიებს'' (ფემინისტური დიალოგი, 2017, გვ. 55).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ფემინისტური აქტივიზმის განხორციელებისათვის არასახარბიელო სოციალური და პოლიტიკური გარემოსა, არსებობდა რიგი პრობლემები ახლად მომწიფებული ფემინისტური მოძრაობის წიაღში, და ეს პრობლემები დაბრკოლებებად ჩნდებოდა მოძრაობის წარმატების გზაზე: ,,ქალთა მოძრაობას ამ ეტაპზე არ გააჩნდა ერთიანი სტრატეგია ან განვითარების ხედვა. მისი განუვითარებლობა, მსოფლმხედველობრივი სიჭრელე, ეკლექტურობა, ხელს უშლიდა ქალთა წინსვლის ერთიანი დღის წესრიგის შემუშავებას" (ფემინისტური დიალოგი, 2017, გვ. 55).

2011 წლიდან, ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის" დაარსებასთან ერთად, საქართველოში დაიწყო ფემინიზმის ახალი ტალღა და პირველი თაობისგან სრულიად

განსხვავებული თავისი რადიკალური მოთხოვნებით. ხშირი არაკონვენციური აქტივობებითა და რადიკალური ხასიათის განცხადებებით, ფემინისტები ცდილობდნენ, წინ წამოეწიათ ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები. თუმცა ამ მოძრაობის წიაღში თავი იჩინა შიდა იდეოლოგიურმა დაპირისპირებებმა, ისევე როგორც საზოგადოების მწვავე, დამცინავმა რეაქციებმა მათი არაკონვენციური აქტივობების მიმართ. 2014 წელს კი, ფემიციდის გახშირებული შემთხვევების საპასუხოდ, ჩამოყალიბდა ,,ქალთა მოძრაობა“ - დღემდე საქართველოში ყველაზე დიდი ფემინისტური ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა შეხედულებების, პროფესიისა თუ გამოცდილების მქონე ფემინისტებს აერთიანებს და ფოკუსირებულია როგორც ინსტიტუციონალური ცვლილებების მოხდენაზე (გენდერული კვოტის დაკანონება), ასევე არაკონვენციურ აქტივობებსაც აქტიურად აორგანიზებს (25 ნოემბრის ფემინისტური აქცია-პერფორმანსი).

2015 წლიდან ,,ახალგაზრდა მწვანეებისა“ და ,,ქალთა მზერის“ სახით ყალიბდება ფემინისტური მოძრაობის მესამე თაობა, რომლებიც მემარცხენე შეხედულებების მქონე აქტივისტებს აერთიანებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად (მათ შორის, ქალთა სექსუალობის საკითხი), ორიენტირებულია ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებაზე. ქალთა მოძრაობის ეს თაობა, სხვა თაობებთან შედარებით, გენდერული საკითხის უფრო ღრმა გააზრებას გვთავაზობს. მათი აზრით, უნდა ვეძიოთ ის ფუნდამენტური პრობლემები, რაც საზოგადოების წიაღში არსებობს და რაც ხელს უშლის აქტივიზმის განვითარებას. მაგალითად, როგორიცაა ფემინისტური ცოდნის არარსებობის პრობლემა. ქალთა მზერის ერთ-ერთი აქტივისტის თქმით დიდ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არანაირი განათლება არ აქვთ ადამიანებს იმის შესახებ, თუ რატომ სჭირდება ქალს ბრძოლა იმისათვის, რომ ჰქონდეს მეტი უფლება, იჩაგრება თუ არა ქალი და თუ იჩაგრება როგორ (ა.კ., ,,ქალთა მზერა“).

აღსანიშნავია, რომ სამივე თაობის მთავარ გამოწვევად და პრობლემად რჩება მათი NGO-იზაცია და ამას რიგი ფაქტორები განაპირობებს: შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, რაც მეტნაკლებად ზღუდავს მათი აქტივობების მასშტაბურობას, მეორეს მხრივ კი, დონორი ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსების შემთხვევაში, მათი მხრიდან დღის წესრიგის მუდმივი კონტროლი და საქმიანობის შეზღუდვა. ამ

გამოწვევის დაძლევა დღესდღეისობის ფემინისტური ჯგუფების ერთ-ერთი უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს.

ემპირიული ნაწილი

თავი III. აქტივისტური ჯგუფების მოქმედების სტრატეგიები

კვლევის ფარგლებში ვიკვლიე სამი ფემინისტური ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. ეს ჯგუფებია: ,,ქალთა მზერა", ,,ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი" და ,,ქალთა მოძრაობა". თითოეული აქტივისტური ჯგუფიდან სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე სამ აქტივისტთან (ჯამში 9 ინტერვიუ) და ასევე ვაკვირდებოდი მათ აქტივობას როგორც სოციალურ ქსელში, ასევე ქუჩის აქციებს, რომლებიც კვლევის განხორციელების პერიოდში ჩატარდა.

ინტერვიუთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ფემინისტთა სამივე ჯგუფს მოქმედების განსხვავებული და ჯგუფის სპეციფიკაზე მორგებული სტრატეგიები აქვს. ჯგუფები ორიენტირებულნი არიან როგორც შიდა ორგანიზაციულ განვითარებაზე, ასევე სხვადასხვა კონვენციური და არაკონვენციური აქტივობების განხორციელებაზე, ძირითადად თბილისის მასშტაბით.

შიდა ორგანიზაციული განვითარება ერთგვარი გამოწვევაც არის აქტივისტებისათვის, რადგანაც ეს განაპირობებს საქმიანობის უფრო მოწესრიგებულ, დინამიკურ რეჟიმში წარმართვას, შესაბამისად, შედეგის ეფექტურობასაც. თუმცა, ეს პროცესი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. რადგანაც არსებობს ფინანსების ნაკლებობა, ერთ-ერთი აქტივისტის თქმით, ადამიანის მუდმივად მოხალისეობრივად დაკავება არაეთიკურიც შეიძლება იყოს და როცა ვინმეს სამსახურს სთავაზობ, საჭიროა ამისთვის მატერიალური და ფინანსური რესურსით იყო მზადყოფნაში, რომლის პრობლემაც ამჟამად ,,ქალთა მზერას" აშკარად გააჩნია, სხვა ფემინისტური ჯგუფების მსგავსად (ა.კ., ,,ქალთა მზერა").

მოქმედების სტრატეგიებზე საუბრისას, სხვადასხვა ჯგუფის წევრები განსხვავებულ პრიორიტეტებზე საუბრობენ. ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის" აქტივიზმში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მშვიდობიანი დემონსტრაციები რადიკალური მოწოდებებით. ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის" სამივე აქტივისტი ინტერვიუში მთავარ სტრატეგიად ასახელებს ქუჩის დემონსტრაციებს, რომლებიც

ხშირად იმართება სხვადასხვა მნიშვნელოვან დღესთან ან საკითხთან დაკავშირებით. მსგავსი აქტივობების მთავარი ფუნქცია, რესპონდენტების აზრით, არის საზოგადოების გამოფხიზლება და მნიშვნელოვან თემებზე ყურადღების გამახვილება.

,,8 მარტს გვქონდა გამოსაფხიზლებელი აქცია და ამ დროს ცოტა განსხვავებული სტრატეგია ავირჩიეთ. თუ აქამდე 8 მარტი იყო დღესასწაული, რომლის დროსაც ხდებოდა თითქოს იმ მოვალეობების ერთი წლით გადადება, რომლებიც ქალთა მიმართ საზოგადოებას აკისრია, აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ქალების მოთხოვნილებები უნდა იქნეს გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული, ისეთი მოთხოვნები, როგორებიცაა აუნაზღაურებელი შრომა, სხვადასხვა ტიპის ძალადობები, ქალის სექსუალური უფლებები, რომელიც პრაქტიკულად იგნორირებულია საქართველოში. ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფთან ერთად მოხდა ამ საკითხებისადმი წონისა და მნიშვნელობის დაბრუნება, რეალურად ეს 8 მარტი იყო, ზუსტადაც, რომ ქალთა მიმართ სოლიდარობის დღე, არა ყვავილების და მილოცვის დღე, არამედ პრობლემებზე ლაპარაკის და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიების დღე... ხშირად ვაწყობთ აქციას 8 მარტს" (ი.ბ., ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი").

აქტივისტი ასევე დასძენს, რომ მიუხედავად სხვა აქტივობების განხორციელებისა, როგორებიცაა უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა და მოსახლეობისთვის მიწოდება, ვირტუალურ სივრცეში, სოციალურ მედიაში აქტიურობა და სხვა ინოვაციური ხერხები, რომელთა გამოყენებაზე მუშაობს ჯგუფი, ისეთი ,,კლასიკური" მეთოდის დავიწყება, როგორიცაა ქუჩის აქციები, სწორად არ მიაჩნია.

მსგავს მოსაზრებას იზიარებენ ,,ქალთა მოძრაობის" წევრი ქალები, აქციების მნიშვნელობაზე საუბრისას. მათი აზრით, ხალხმრავალი აქციის მთავარი ძალა იმაშია, რომ კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ და ხშირად ეს შედეგები სამთავრობო ცვლილებების დონეზეც შეიძლება განხორციელდეს.

,,ქალთა მოძრაობის" ერთერთი აქტივისტი აღნიშნავს, რომ სასურველია აქციები ყოველთვის მასშტაბური იყოს, რამდენადაც მასშტაბურ აქციებს ყოველთვის მეტი გამოხმაურება მოჰყვება საზოგადოების მხრიდან, მაგალითისთვის აქტივისტი 25 ნოემბრის აქციას ასახელებს, როცა ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და

სახელმწიფოს რეაგირება მოითხოვა. ამის შედეგად კი ეკა ბესელიას თაოსნობით, პარლამენტში შეიქმნა ჯგუფი, რომელიც იყო შუამავალი აქტივისტურ მოძრაობებსა და სახელმწიფოს შორის. ასევე მათი აქტივობების შედეგად მიაღწიეს იმას, რომ შეიქმნა ქალთა მიმართ ძალადობის დეპარტამენტი. ასევე აქტივისტს საკუთარი ჯგუფის დამსახურებად მიაჩნია ის, რომ 8 მარტის აქციის შემდეგ, რომლის მიმდინარეობისას რუსთაველის გამზირი გადაიკეტა, ქალთა კვოტირება გახდა უფრო აქტუალური თემა: *,, თამამად შემიძლია ვთქვა, 95% ჩვენი დამსახურება იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ. ეს, რომ ქალთა კვოტირებაზე პარლამენტში ლაპარაკობენ, ესეც ჩვენი დამსახურებაა, ჩვენ დავიწყეთ მაშინ 8 მარტს აქციაზე გაჟღერება, მთელი რუსთაველი გვქონდა გადაკეტილი და აქციიდან მეორე დღეს უკვე მთელი ქვეყანა კვოტირებაზე ლაპარაკობდა"*(ნ.გ., ,,ქალთა მოძრაობა").

შესაბამისად, მიღებული შედეგი ეფექტურია როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოებრივ დონეზეც. ერთი მხრივ, პარლამენტი დაინტერესდა საკითხით, მეორე მხრივ კი, საზოგადოების ერთგვარი ,,გამოფხიზლება" დაიწყო საკითხის ირგვლივ და მათთვის აქტუალური გახდა ქალთა კვოტირების თემა.

თუმცა, საზოგადოებს კონსოლიდაციის პრობლემები ამ მხრივაც არსებობს და რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ძალიან რთულია დიდი მასის ჩართვა ისეთ არაკონვენციურ აქტივობაში, როგორიცაა დემონსტრაციებში მონაწილეობა. ერთ-ერთი აქტივისტის თქმით, ,,საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის წარმოუდგენელია როგორ უნდა გავიდეს და დადგეს აქციაზე, თუ ფინანსურ სარგებელს არ ელოდება"(გ.ხ., ,,ქალთა მზერა") როგორც ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის" ერთ-ერთი აქტივისტი ამბობს: *,,შეიძლება სასოწარკვეთილებამდეც კი მივიდეს ადამიანი, როდესაც ვხედავთ, რომ მართლა პირზე კოცნით ვიცნობთ ერთმანეთს ადამიანები, აქციებზე ვინც დავდივართ. ეს არის მართლა ვიწრო წრე, რომლებიც ერთმანეთს პატივს ვდებთ, ვაფასებთ და რაღაც ინიციატივებში ვუერთდებით"* (ე.ნ., ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი").

,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის" მიერ ორგანიზებულ აქციებზე ხალხის ნაკლებობის პრობლემა მართლაც რომ არსებობს, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა

მიმდინარე წლის 8 მარტის აქციამ, რომელსაც პირადად დავესწარი. წელს, აქტივისტებმა გადაწყვიტეს, რომ ერთგვარი საგანმანათლებლო ხასიათის აქცია-ტური მოეწყოთ, რომლის ფარგლებშიც მსვლელობა გამართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1-ლი კორპუსიდან თავისუფლების მოედნამდე. გზად რამოდენიმე ადგილას მსვლელობა ჩერდებოდა და აქტივისტები ყვებოდნენ ქართული ფემინიზმის და ქართველი ფემინისტების ისტორიებს, რომლებიც იმ კონკრეტულ ადგილთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა 20-მდე ადამიანი, აქედან მხოლოდ 4 კაცი და ძირითადად ახალგაზრდა ქალები იყვნენ. აქ იკვეთება სწორედ ის პრობლემა, რაც თეორიულ ნაწილში განვიხილეთ გარემოსდამცველთა აქტივიზმის კონტექსტში. ფართო საზოგადოება იმდენად მოუმზადებელია აქტივიზმის ამგვარ ფორმაში მიიღოს მონაწილეობა, რომ ფემინისტური ხასიათის აქციებში ადამიანთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფი ერთიანდება, ისევე როგორც ეს მოხდა გარემოსდაცვითი აქციების შემთხვევაში.

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ხალხის მობილიზებისათვის მნიშვნელოვანია კონკრეტული თემის აგორება, რადგან ,,საზოგადოებისთვის უფრო მარტივია ამ თემებზე მიბმა და კავშირის გაჩენა“ (გ.ხ., ,,ქალთა მზერა“) შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ამ მხრივ არააქტიურ ნაწილს მიაწოდო კონკრეტული პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის შენეული გზა, რათა შესაძლებელი გახდეს მათი მსგავსი საკითხებით დაინტერესება და აქტივიზმში ჩართვა.

სამოქალაქო აქტივობებს შორის სახელდება პეტიციებზე ხელის მოწერა, აქტივიზმის სამიზნე ჯგუფთან ანუ მოსახლეობასთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება და დაახლოება. მხოლოდ ,,ქალთა მოძრაობის“ აქტივისტები საუბრობენ ისეთ თემებზე, როგორიცაა რეფორმატორული პოლიტიკის გატარება და ადვოკატირება გრძელვადიან პერსპექტივაში.

მეორე მხრივ, ონლაინ აქტივიზმის მნიშვნელობაზე საუბრისას, ,,ქალთა მზერის“ წევრი აღნიშნავს, რომ ონლაინ აქტივიზმი საკმაოდ ჭრის ამ კონტექსტში, იქმნება ერთგვარი ,,კრიტიკული ცოდნის სივრცე“ (გ.ხ., ,,ქალთა მზერა“), სადაც ქალებს შეუძლიათ მიიღონ

მათთვის საჭირო ინფორმაცია გენდერულ თემებზე ან, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება ან სულაც რჩევა გენდერული საკითხის ირგვლივ. ასევე აღსანიშნავია, რომ მისი აზრით, სოციალური მედიის სივრცე მნიშვნელოვანია ბევრი თემის აქტუალიზებისათვის.

25 ნოემბერს გამართული აქციის შემდეგ, სოციალურ ქსელ ფეისბუქზე, აქტივისტებმა შექმნეს დახურული სამუშაო ჯგუფი ,,25 ნოემბერი და მეტი.“ ჯგუფის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქალი, რომელიც დაინტერესებულია ქალთა უფლებებით საქართველოში და იზიარებს ქალთა მოძრაობის მანიფესტს. შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფი საკმაოდ აქტიურია და მასში გაწევრიანებული ქალები ყოველდღე წერენ ყველა მათთვის მნიშვნელოვან საჭირბოროტო თემაზე. განიხილავენ ისეთ თემებს, რომლებზეც საჯაროდ ვერ საუბრობენ სხვადასხვა სოციალური ბარიერის გამო. ქალები ყვებიან ისტორიებს, რომლებიც გადახდათ და უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობას. ეს ჯგუფი თანდათან ყალიბდება, როგორც ქალთა პლატფორმა, ქალთა საკითხებზე ცოდნის, აზრების, ემოციების, მიზნების გასაზიარებელი სივრცე, რომელიც ერთგვარ თავშესაფრად არის ქცეული როგორც დაჩაგრული ქალებისთვის, რომლებსაც სურთ მათი მძიმე გამოცდილების გაზიარება, ასევე დანარჩენებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ, დახმარება აღმოუჩინონ დაჩაგრულთ, ან უბრალოდ მიიღონ ინფორმაცია ან თუნდაც შეეცვალოთ წარმოდგენები რიგ საკითხებზე, ჯანსაღი დისკუსიის პროცესში. ნებისმიერი თემის ირგვლივ დისკუსია ჯგუფში ჯანსაღი, კონსტრუქციული მსჯელობის გზით მიმდინარეობს. ქალები გამოხატავენ თავიანთ აზრებს არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაყრდნობით. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჯგუფში იშვიათად არის აზრთა სხვადასხვაობა ამა თუ იმ საკითხზე, რადგან მეტ-ნაკლებად ერთნაირი შეხედულებების მქონე ქალებს აერთიანებს.

,,ფემინისტურ დიალოგში“ (2018) ბაია პატარაია სწორედ ამ ჯგუფის შექმნის იდეას და მის სპეციფიკას ეხმიანება და აღნიშნავს, რომ რომ მას ახარებს ჯგუფის სიჭრელე და ის, რომ მასში მხოლოდ პროფესიული აქტივისტები არ არიან. ასევე დასძენს, რომ თავდაპირველად ჯგუფში მხოლოდ ფემინისტები იყვნენ გაერთიანებული ხოლო შემდგომში ონლაინ-ჯგუფი კიდევ უფრო ღია გახდა და იქ ამატებდნენ ყველას, ვისაც ქალთა საკითხები აინტერესებდა. მისი თქმით, „ქალთა მოძრაობა” ფემინისტური

ჯგუფია, მაგრამ მისი ყველა წევრი ფემინისტი არ არის, ფემინისტის იდენტობა, როგორც ბარიერი შეგნებულად მოისპო. შედეგად, ,,25 ნოემბერი და მეტი“ დღემდე არის ყველაზე დიდი თვითორგანიზებული ჯგუფი, რომელიც შედგება მხოლოდ ქალებისგან” (პატარაია, 2018, გვ. 26).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად გამოთქმული სურვილისა მათი მხრიდან, ჯგუფში კაცები არ არიან გაწევრიანებული. ფემინისტები აღნიშნავენ, რომ ამის გამო ხშირად აკრიტიკებენ კიდეც, თუმცა როგორც ერთ-ერთი აქტივისტი ამბობს, ეს ჯგუფი ერთადერთი სივრცეა, სადაც კაცები არ არიან და მხოლოდ ქალები იღებენ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ჯგუფში მათი დამატება არამიზანშეწონილად მიაჩნია.

ხშირად, როცა აქციის ჩასატარებელი რესურსი ნაკლებია, აქტივიზმის ეფექტურ ფორმად სახელდება სხვადასხვა სახის ვიდეოების ჩაწერა და გავრცელებაც. ვიდეოები ტიტრებით გენდერული შინაარსის მატარებელია და ხშირად მსგავს თემებზე ამახვილებს ყურადღებას, როგორებიცაა ქალთა სექსუალური უფლებები, სექსიზმი და რეპროდუქცია. აქტივისტების აზრით, მსგავს ვიდეოებს სოციალურ ქსელში ყოველთვის დიდი გამოხმაურება აქვს.

,,ქალთა მზერის“ ერთ-ერთი წევრის აზრით, ასევე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა სამიზნე ჯგუფთან დაახლოება და მათი უკეთ შესწავლა: ,,უფრო ეფექტურად გამოგვდის იმ ჯგუფების პრობლემების წარმოჩენა, რომლის წევრებიც ვართ, რომლებთან კომუნიკაციაც უფრო მეტი გვაქვს და არის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა“ (გ.ხ., ,,ქალთა მზერა“). ინტერვიუსას ყველა ფემინისტი აღნიშნავს, რომ ქალთა ჯგუფების მცირერიცხობრიობის გამო, ყველა მათგანს უწევს ერთმანეთთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტრატეგიებზე საუბრისას იკვეთება ორი მნიშვნელოვანი მეთოდი: ქუჩის დემონსტრაციები და ონლაინ აქტივიზმი. აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები როდესაც კონკრეტული თემების აქტუალიზებისათვის ორივე მეთოდი გამოიყენება ხოლმე, მაგალითად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ აქციის პარალელურად სოციალურ ქსელებსა და ჯგუფების ვებ-გვერდებზე აქტიურად ვრცელდებოდა მიმართვები და მოწოდებები, სადაც

ჯგუფები გმობდნენ ძალადობას. სექსუალური შევიწროების ბოლოდროინდელი შემთხვევები (ზვიად დევდარიანის, პაპუნა უგრეხელიძის საქმე) აქტიურად განიხილებოდა სოციალურ ქსელში და შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების უმრავლესობა სწორედ სოციალური ქსელიდან იგებს პირველად უახლეს ინფორმაციას საქმის მიმდიანარეობის შესახებ. ეს ორი მეთოდი მჭიდრო კავშირშია იმ მხრივაც, რომ აქციაზე ადამიანთა მობილიზება დიდწილად სწორედ სოციალური ქსელის საშუალებით ხდება, როდესაც ჯგუფები ქმნიან ღონისძიებებს ფეისბუქზე მათი აქციების შესახებ და ავრცელებენ სხვადასხვა ჯგუფებში, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ როგორც აქციის შინაარსი, ასევე მისი ჩატარების დრო და ადგილი. ამ ორი ფორმის უპირატესობა განპირობებულია, ერთი მხრივ, გარკვეულ თემებზე ყურადღების გამახვილების და საზოგადოების ერთგვარად მობილიზაციის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ონლაინ აქტივიზმი განაპირობებს ინფორმაციის გავრცელების გზით, საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენებას გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩის აქციებთან შედარებით, მსგავსი სახის აქტივიზმი შედარებით მეორეხარისხოვნად რჩება. მიერინას (2014) ანალიზი რომ გავიხსენოთ, მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ, გაცილებით ხშირად მონაწილეობენ კონვენციურ აქტივობებში იმ მოქალაქეებთან შედარებით, რომლებსაც ეს ნდობა არ გააჩნიათ. ასევე, კვლევები აჩვენებს, რომ მოქალაქეები, რომლებსაც არ გააჩნიათ მთავრობის ინსტიტუტების მიმართ ნდობა, უფრო მარტივად ერთვებიან არაკონვენციურ აქტივობებში. შესაბამისად, აქტივიზმის ამ ფორმისათვის უპირატესობის მინიჭება ჩვენს საზოგადოებაში შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ აქტივისტებს ნაკლები ნდობა აქვთ სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ, რასაც ბოლოდროინდელი კვლევებიც ნათლად ადასტურებს. მაგალითისთვის, NDI-ის (2016) მიერ გამოქვეყნებული კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაეცა.

3.1 სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა და თანამშრომელობა ფემინისტურ ჯგუფებს შორის

როგორც ზემოთ აღნიშნულია, ვალასი სოციალურ კაპიტალს ერთ-ერთ მთავარ ინვესტიციად მიიჩნევს სოციალურ ურთიერთობებში ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების პროცესში და ეფექტურ მექანიზმად იმისათვის, რომ გაიგო ინფორმაცია ,,ბაზარზე" არსებული აქტორების შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აქტივიზმის განხორციელებისას კავშირი არსებობდეს სხვადასხვა აქტივისტურ ჯგუფებს შორის, რათა ამ კავშირის საფუძველზე შეიქმნას ერთგვარი ჯაჭვი, რომელიც საერთო მიზნების განხორციელებას უფრო გაუმარტივებს ფემინისტურ ჯგუფებს. სწორედ ამგვარი ურთიერთთანამშრომლობის მაგალითები არსებობს ქართულ აქტივისტურ ჯგუფებს შორის. სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც ჩართულნი არიან ფემინისტურ აქტივიზმში, ძირითადად, ერთი კონკრეტული მიზნის განსახორციელებლად ერთიანდებიან. მათი ურთიერთკავშირი ფორმალური სოციალური კაპიტალის სახეა, რომელიც დამყარებულია მჭიდრო სოციალურ კავშირებზე ჯგუფებს შორის და გამყარებულია სამოქალაქო ჩართულობით. ამგვარი სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გარდამავალი საზოგადოებისთვის, როგორიც საქართველოა. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოების ნდობა საჯარო დაწესებულებების მიმართ საკმაოდ დაბალია და როდესაც ისინი ერთიანდებიან სხვადასხვა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, ეს ხდება არა ფორმალური ასოციაციების დახმარებით, არამედ არაფორმალური კონტაქტების დამყარებით ან ინდივიდუალური ძალისხმევით. მსგავს პირობებში საინტერესოა, როგორ ავითარებენ ქართველი ფემინისტები ურთიერთანამშრომლობის მათეულ სტრატეგიას. როგორ და რა გზებით თანამშრომლობენ და რამდენად ეფექტურად მიაჩნიათ მათი თანამშრომლობა.

,,ქალთა მოძრაობის" აქტივისტი იხსენებს ისეთ მნიშვნელოვან აქციებს, როგორებიცაა 25 ნოემბრისა და 8 მარტის აქციები, როდესაც მოხდა სხვადასხვა ჯგუფების, მოძრაობებისა და ორგანიზაციების ერთიანი ძალისხმევით ორგანიზება და ხალხის საკმაოდ დიდი

რაოდენობის მობილიზება. აქტივისტთა უმრავლესობა სწორედ ამ ორ თარიღს ახსენებს, როდესაც იწყება საუბარი ურთიერთთანამშრომლობით მიღწეულ შედეგებზე. აღსანიშნავია, რომ აქტივისტურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობა ძირითადად ერთჯერადი და წყვეტილია, არ აქვს დროში განგრძობადი და სისტემური ხასიათი და მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირდება:

,,რეალურად გვაქვს კომუნიკაცია მაგრამ ძალიან ერთჯერადია, ჩემი აზრით, არაეფექტურიც, იმიტომ რომ კონკრეტული თემა თუ აგორდება, მაინცდამაინც ვიღაც უნდა მოკლან ან ტრანსი უნდა ცემონ, მაინცდამაინც ვიღაც ქალი დასაქმების ადგილას უნდა შეავიწროვონ სექსუალურად, რომ ჩვენ გავერთიანდეთ, რადგან არანაირი ისეთი გრძელვადიანი ხიდების და რაღას საერთო პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების გამოგონება არ ხდება“ (გ.ხ., ,,ქალთა მზერა“).

ბაია პატარაია ,,ფემინისტურ დიალოგში“ (2017) აღნიშნავს: *,,ყოველ მომდევნო თაობას სულ უფრო ნაკლები ცოდნა აქვს უფროსი ფემინისტების საქმიანობაზე, შეხედულებებსა და გამოწვევებზე. ეს პუბლიკაცია ამ დიალოგის განვითარების ერთ-ერთი მცდელობაა. ინფორმაციის ნაკლებობა თაობათა შორის უნდობლობასაც იწვევს. უშუალოდ ფემინისტებს შორის არასრულფასოვანი კომუნიკაციის გამო, ხშირად საკითხის გარშემო გაერთიანება ჭირს, რაც ასუსტებს საერთო ძალისხმევას.“*

შესაბამისად, კოორდინაციის თვალსაზრისით, მთავარი პრობლემაა გრძელვადიანი თანამშრომლობის არარსებობა და ფემინისტური აქტივიზმის რეაქტიული და არა პროაქტიული ხასიათი. ამის მიზეზად, გარკვეულწილად ფემინისტთა იდეოლოგიური განსხვავებებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ხშირად არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები მათ მოსაზრებებს შორის, რაც ხელს უშლის შეთანხმების მიღწევის და ურთიერთთანამშრომლობის პროცესს მთელ რიგ საკითხებზე. მაგალითისთვის, ,,ქალთა მზერის“ ერთ-ერთი აქტივიზმის აზრით, ყველაზე დიდი ჩაგვრა არის ეკონომიკური ჩაგვრა, მაშინ როდესაც სხვა ჯგუფისთვის ეს შეიძლება იყოს კულტურული. თუმცა, როგორც ,,ქალთა მზერის“ წევრი აცხადებს, მნიშვნელოვანია, რომ გააზრებული იქნას ჩაგვრის და სხვა პრობლემების უფრო ღრმა საფუძველი და ერთიანი ძალებით იყოს შესაძლებელი არსებულ გამოწვევებზე მუშაობა: *,,აღქმაა სხვადასხვაგვარი: ვიღაცისთვის*

ბრძოლა არის კულტურული, ვიღაცისთვის არის ეკონომიკური, ვიღაცისთვის - პოლიტიკური და სინამდვილეში ბრძოლა არის კულტურულიც, ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც"(ა.კ., ,,ქალთა მზერა").

ჯგუფებს შორის თანამშრომლობის სპეციფიკაზე საუბრისას, ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის აქტივისტი, იმ სირთულეებზე საუბრობს, რომლებსაც პატარა ჯგუფები აწყდებიან ამ დროს. მისი თქმით, როცა ჯგუფი მცირერიცხოვანია, თანამშრომლობა ძალიან რთულია: *,,რაც უფრო პატარა ჯგუფი ხარ, ეს თანამშრომლობა არის ბევრად უფრო რთული იმიტომ, რომ მოთამაშედ არ აღგიქვამენ და პრინციპში, თანამშრომლობა აღიქმება იმად, რომ შენ ხარ ჩასაფრებული გაიგო, როგორ ხდება, შეუთანხმო, ანგარიში გაუწიო, რაღაც მომენტებში შენი პრიორიტეტები ჩააჩოჩო და ასე შემდეგ"* (ე.ნ., ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი"). მიუხედავად მსგავსი დამოკიდებულებისა, ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის პოზიცია საკმაოდ მყარია და ყველა აქტივისტი ერთხმად თანხმდება იმ ნაწილში, რომ ურთიერთთანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია და დაუშვებელია ,,ხიდების დაწვა" და ,,საკუთარ ნაჭუჭში შეკეტვა", რომელიც საერთო ფემინისტურ საქმეს მხოლოდ აზარალებს. ამავე მოსაზრებას იზიარებენ სხვა ჯგუფების წევრებიც და ფიქრობენ, რომ საქართველოში ფემინისტთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ ურთიერთანამშრომლობა გარდაუვალი და აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

თავი IV. აქტივიზმის ხელისშემშლელი ფაქტორები

ფემინისტური აქტივიზმის ხელისშემშლელ ფაქტორებად ხშირად სახელდება როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე შიდა საორგანიზაციო პრობლემები, რომლებთან გამკლავებასაც აქტივისტური ჯგუფების წარმომადგენლები დღემდე ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობენ. ასევე, მნიშვნელოვანი საკითხია დონორი ორგანიზაციების საკითხი, რომლებიც, გარკვეულწილად, ქალთა აქტივიზმის ჩარჩოში მოქცევას და საკუთარი ინტერესების წინ წამოწევას ცდილობენ. აღსანიშნავია მედიის, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის გამავრცელებლის როლი, რომელსაც ფართო საზოგადოების დამოკიდებულებების და შეხედულებების ჩამომყალიბლებისათვის საკმარისი ბერკეტი აქვს, თუმცა, აქტივისტთა აზრით, ამ პასუხისმგებლობას არცერთი სატელევიზიო არხი არ იღებს საკუთარ თავზე. მხოლოდ ონლაინ მედია განიხილება პლატფორმად, რომლის ეფექტურობას თითქმის ყველა აქტივისტი უსვამს ხაზს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოში აქტივიზმის განხორციელებისათვის მივიღეთ საკმაოდ არამდგრადი, რთული გარემო, სადაც მიზნისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი აქტივისტებისა ნიშნავს მათ მიერ უამრავი ფინანსური, მორალური ბარიერის კერძოდ, საზოგადოების მხრიდან უარყოფითი და ხშირად აგრესიული ან თუნდაც დამცინავი დამოკიდებულების გადალახვას და ზოგჯერ მიზნის მხოლოდ ნაწილობრივ და არასრულად მიღწევას.

მნიშვნელოვან სოციალურ ხელისშემშლელ ფაქტორებად სახელდება სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა, შესაბამისად, საჯარო სივრცეების ნაკლებობა, რომელიც გამოწვეულია მძიმე ეკონომიკური პრობლემებით საზოგადოებაში. ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის“ აქტივისტი აღნიშნავს:

,,რთულია, ჩვენ ვილაპარაკოთ რაღაცა ტიპის მზაობაზე, რომ ადამიანები ჩაერთონ აქტივიზმში. მეორე საკითხია რომ მოუნდეთ ჩართვა, სად ჩაერთონ, სად არის ისეთი სივრცე, სადაც შეიძლება რომ ადამიანები შეიკრიბონ. ჩვენ საერთოდ არ გაგვაჩნია არანაირი სივრცე. საჯარო სივრცეების დეფიციტია საქართველოში, როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე ხანშიშესულებისთვის. ამიტომ ასეთ გარემოში ფემინისტურ აქტივიზში ჩართულობის მზაობა რომ დავუნახო ადამიანებს, მართლა სიურპრიზი

იქნებოდა. რა თქმა უნდა, ეკონომიკური ფაქტორი უმნიშვნელოვანესია. აი, ვთქვათ, სტუდენტებზე რომ ვილაპარაკოთ, რატომ ვერ არიან სტუდენტები ასეთი აქტიურები, იმიტომ რომ უმეტესობას ალბათ ძაან არასახარბიელო ნახევარგანაკვეთიანი სამსახურები აქვთ, არ რჩებათ თავისუფალი, ხელმისაწვდომი დრო, რომელსაც მოხალისეობრივი საქმიანობისთვის და რაღაც იდეების გამო დახარჯავდნენ“ (ე.ნ., ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი“).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც თითქმის ყველა აქტივისტი საუბრობს, არის ფინანსური არასტაბილურობა. დავიწყოთ იმით, რომ არის პერიოდები, როცა აქტივისტურ ჯგუფებს არ გააჩნიათ ელემენტარული სახსრები იმისათვის, რომ შეიძინონ აქტივიზმის, თუნდაც აქციებისათვის საჭირო ტექნიკური ინვენტარი და ამას ხშირად საკუთარი სახსრებით ცდილობენ. კვლევის ფარგლებში არსებულ არცერთ აქტივისტურ ჯგუფს არ აქვს საკუთარი ოფისი, სადაც შეძლებს რეგულარულად შეკრებას, სამომავლო გეგმების დასახვას ან უბრალოდ, ყოველდღიურად მუშაობას. ,,ქალთა მზერის“ წევრი აღნიშნავს, რომ მათი ჯგუფის მიერ ფემინისტური გაზეთის გამოშვება შეჩერდა ფინანსური პრობლემების გამო: *,,ქალთა ფონდთან“ და Frida-სთან* („ახალგაზრდა ფემინისტების ფონდი”, რომელიც მუშაობს მსოფლიოს მასშტაბით) *თანამშრომლობა ხდება, თუმცა ეს ორი ორგანიზაცია გასცემს მცირე გრანტებს, რომლითაც შესაძლებელია პროექტების კეთება, მაგრამ არ არის შესაძლებელი საორგანიზაციო განვითარება, ანუ ოფისის ხარჯს ვერ დაგიფინანსებს. შესაბამისად, იმისთვის რომ ადამიანები აიყვანო, დაასაქმო ოფიციალურად, საჭიროა, რომ სამუშაო ადგილზე მოვიდნენ და რაღაც სტაბილური ხელფასი შესთავაზო. აქედან გამომდინარე, გაზეთის პერსპექტივა ამ ეტაპზე ამან გააჩერა, რომ ამ წუთას მეტი შესაძლებელი არ იყო“* (ა.კ., ,,ქალთა მზერა“).

მათთვის რთულია, ერთი მხრივ, იყვნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი, ხოლო მეორე მხრივ, დონორზე დამოკიდებულნი, რამდენადაც ამ შემთხვევაში არსებობს მთელი რიგი შეზღუდვები საქმიანობისას. ,,ქალთა მზერის“ ერთ-ერთი აქტივისტი დონორების საკითხზე ვრცლად საუბრობს და აღნიშნავს, რომ არსებობს ფემინისტური ორგანიზაციები (მაგ.: ფონდი Frida), რომლებიც საკმაოდ მოქმილნი არიან და ჯგუფის შიდა დღის წესრიგს არ ეხებიან, მაშინ როცა მნიშვნელოვან და გრძელვადიან გრანტებს

გასცემენ ისეთი ბიუროკრატიული ფონდები (როგორიცაა ,,ფრიდრიხ ებერტის ფონდი“), რომლებიც აქტივისტთა თითოეულ ნაბიჯს ზედმიწევნით აკონტროლებენ: *,,გაეროს ქალთა ორგანიზაცია" ისეთი ბიუროკრატიულია, ისეთ ნორმებში გსვამენ, რომ ყველას ლექსიკა, სიტყვა, ყველა აქტივობა უნდა იყოს წინასწარ გაწერილი და შეთანხმებული. იქ ვერ იხმარ ისეთ ტერმინს, მაგალითად, როგორიცაა Direct Action, რომ არ შექმნა იმის სურათი, რომ რამე რადიკალური აქტივიზმი განახორციელო“* (გ.ხ., ,,ქალთა მზერა“).

მსგავს შეზღუდვებზე საუბრობს და ეს ბუნებრივად მიაჩნია ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის აქტივისტს. მისი აზრით, შეუძლებელია, რომ დონორი ორგანიზაცია არ იყოს იერარქიული, არ ჰქონდეს საკუთარი მოთხოვნები, ეს ლოგიკურია და ასეც უნდა იყოს. აქვე დასძენს, რომ, რადგანაც დონორი, თავის მხრივ, ითხოვს პროექტის ზუსტად ისე განხორციელებას, როგორც დაგეგმილი იყო, მისი ჯგუფი ამჯობინებს, რომ ნებისმიერი აქტივობა საკუთარი სახსრებით განახორციელონ ისე, რომ არ იყვნენ ჩარჩოში მოქცეულნი და მხოლოდ ერთმანეთის მიმართ ანგარიშვალდებულება ჰქონდეთ. მსგავსი შეხედულება იკვეთება დანარჩენ ფემინისტებთან საუბრისას და ამ თემასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, ერთსულოვანი მოსაზრება არსებობს. მათთვის მუდამ უმჯობესია დამოუკიდებელი საქმიანობა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში.

ჩემ მიერ მიღებული მონაცემები ეხმიანება სხვა არსებულ კვლევებსაც ამ საკითხზე. თინათინ ჯაფარიძის კვლევაში (2012) საქართველოში მოქმედი დონორი ორგანიზაციების შესახებ, ნათქვამია, რომ ქალთა ორგანიზაციების საერთო პრობლემას წარმოადგენს მოკლევადიანი დაფინანსებები როგორც საქართველოში, ასევე საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში, როდესაც ფინანსდება მხოლოდ ერთჯერადი პროექტები და ფონდები არ უზრუნველყოფენ ისეთ გრძელვადიან ხარჯებს, როგორებიცაა ოფისის ქირა ან ხელფასები. შესაბამისად, აქტივისტების სამუშაო რესურსები ძირითადად მოკლევადიან პროექტებს ხმარდება, ვიდრე უფრო გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას (ჯაფარიძე, 2012).

მედია, კერძოდ კი, სატელევიზიო სივრცე, რომელიც დღესდღეობით ქართული აზრის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, შეიძლება ითქვას, აქტივიზმის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად განიხილება. ნაცვლად იმისა, რომ სატელევიზიო არხებმა საზოგადოებას მიაწოდონ ობიექტური, მიუკერძოებელი ინფორმაცია ფემინიზმის, ქვიარ აქტივიზმის თემის ირგვლივ, ისინი ახდენენ ამ მოძრაობათა დემონიზებას, სხვადასხვა თოქ-შოუებში ფემინიზმთან დაკავშირებული თემების არასწორი ინტერპრეტაციის გამო. ,,ქალთა მზერის" ერთ-ერთი წევრის აზრი რომ მოვიშველიოთ, მისთვის სრულიად მიუღებელია სატელევიზიო პოზიციონირება იმ ქალების, რომლებიც თავს ფემინისტებად მოიაზრებენ და გამოდიან კულუარულ შოუებში. მისი აზრით, ზუსტად ეს ქალები აზარალებენ საერთო საქმეს და საზოგადოებას უფრო აგრესიულად განაწყობენ: *,,ამ შოუებში ამ ქალების პოზიციონირება დიდად აზარალებს ფემინისტურ საქმეს. იმიტომ კი არა, რომ ქალი, რომელიც ყვირის, არის ცუდი, არ არის ცუდი. მაგრამ მე მგონია, რომ რაღაც მომენტში ეს ყვირილიც დასათმობია, თუ შენ იცი, რომ ხმადაბალი საუბრით უფრო მეტს გააკეთებ საზოგადოებრივად. მგონია, რომ გივი სიხარულიძესთან ჩხუბში არ უნდა იხარჯებოდეს რესურსი, ჩხუბით სიმართლე არ ირკვევა, ამით ხდება დემონიზება."* ხოლო მსგავსი ფორმატის შოუები მრავლადაა სატელევიზიო სივრცეში, აქედან გამომდინარე, საზოგადოებასაც ფემინიზმის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიეწოდება, რაშიც მედიას, ფემინისტთა შეხედულებით, დიდი წვლილი მიუძღვის.

,,ქალთა მოძრაობის" ერთ-ერთი აქტივისტიც, საუბრისას მსგავს მოსაზრებას გამოხატავს: *,,მედია საშუალებები უკეთებენ პრომოუშენს ,,Hate Speech"-ს* (ძალადობის ენას), *იწვევენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ღიად გამოხატული ფაშისტები არიან. მედიას ჩვენს აქტივიზმში იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ, პირველ რიგში, გააშუქოს რას ვაკეთებთ და მერე სწორად გააშუქოს"* (ნ.გ., ,,ქალთა მოძრაობა").

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი განწყობები აქტივიზმის მიმართ ძალიან დიდ როლს თამაშობს ამ პროცესში და ხშირად აქტივიზმის ეფექტურობის განმსაზღვრელი ხდება. ერთ-ერთი აქტივისტის განცხადებით, ნებისმიერი სახის პროტესტის პირობებში ყოველთვის ხდება ქალთა საკითხის გადაფარვა. მაგალითისთვის, მშრომელთა საერთაშორისო დღეს, 1 მაისს ჩატარებულ აქციას იხსენებს. ამ დღეს პარალელურად

ორი აქცია მიმდინარეობდა: ერთი მათგანი, ფემინისტური აქცია ქალთა შრომით უფლებებზე აკეთებდა აქცენტირებას, მაშინ როდესაც მეორე, პროფესიული კავშირების მიერ ორგანიზებულ მშრომელთა აქციაზე, ქალთა შრომითი უფლებების საკითხი საერთოდ არ გაჟღერებულა. მისი თქმით, არის მომენტები, როდესაც ქალთა გამოყოფა საჭირო არ არის, თუმცა ქართველი მშრომელი ქალების გამოყოფა აუცილებელია.

ეს დამოკიდებულება იქიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებაში მყარადაა ფესვგადგმული არასწორი შეხედულება ქალის სოციალურ როლზე. ქალის მიერ შესრულებული სამუშაო უხილავი და დაუფასებელია იმ პირობებში, როდესაც მას ხშირად ორ ფრონტზე ერთობლივად უხდება ბრძოლა: ოჯახში კარგი დიასახლისის როლის მორგება და ამასთან, კარიერის შეთავსება, რომელიც ხშირად ძალიან რთულია, თუმცა ეს სოციალურ ნორმადაა მიჩნეული. აქტივისტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მსგავსი დამოკიდებულება გამოწვეულია საზოგადოებაში ცოდნის კრიზისით, არსებული არასწორი წარმოდგენებით ქალის სოციალურ როლზე. სწორედ აქ ხდება მნიშვნელოვანი ხელისუფლებისა და მედიის როლი. ხელისუფლების როლი იმ მხრივ, რომ საჭირო ცოდნის გავრცელება უზრუნველყოს, სერვისები მიაწოდოს მოსახლეობას, ხოლო მედიის როლი იმ მხრივ, რომ მსგავსი საკითხები აქტიურად გააშუქოს.

ფემინისტები აქტივიზმის დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორად ეკლესიას ასახელებენ, რომელიც, სხვა რეაქციული ძალების მსგავსად, ცდილობს საკუთარი კონსერვატული დისკურსების საზოგადოებაზე პროეცირებას. ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის“ ერთ-ერთი წევრის თქმით: *,,ფემინიზმის ყველაზე დიდი წინააღმდეგობის გამწევი დღეს არის ეკლესია, რომელიც არის გამოხატულად პატრიარქატული და არის დღემდე საკმაოდ ძლიერი“* (ი.ბ., ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი“). თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, ეკლესიის მიმართ საზოგადოების ნდობა საკმაოდ შემცირდა. ამერიკის საერთაშორისო ინსტოტუტის IRI-ის წლევანდელი კვლევის მიხედვით, ნდობა საზოგადოების ყველა ინსტიტუტის მიმართ შემცირდა, მათ შორის ეკლესიის მიმართ და ნდობის პროცენტული მაჩვენებელი, 2012 წელთან შედარებით, 10%-ით დაეცა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ეკლესიის პოზიცია ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად რჩება, შესაბამისად ფემინისტებიც ჯერ კიდევ ხედავენ მასში

სერიოზულ ძალას, რომელსაც დღემდე შეუძლია საზოგადოების დამოკიდებულებების ჩამოყალიბება ფემინისტურ აქტივიზმზე ნეგატიური კუთხით.

,,ქალთა მოძრაობის“ ერთ-ერთი წევრი აღნიშნავს, რომ აქტივიზმის პროცესში ასევე დიდი პრობლემაა საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზაციის შიშის პრობლემა აქტივისტებს შორის და მაგალითისთვის ასახელებს შემთხვევებს, როდესაც აქტივისტურ ჯგუფებში ერთიანდებიან ლესბოსელი ქალებიც და ზოგიერთ ქალს არ უნდა, რომ ლგბტ ჯგუფთან იყოს გაიგივებული, ამიტომ მათთან გაერთიანებაზე უარს აცხადებს. კიდევ ერთ მაგალითად აქტივისტი ასახელებს იმ პრობლემას, როდესაც ქალთა მოძრაობის ფეისბუქ ჯგუფიდან ხშირად გააქვთ კონფიდენციალური ინფორმაცია მნიშვნელოვან საკითხებზე, თუმცა, მისი თქმით, მრავალრიცხოვან ჯგუფში ამის გაკონტროლება ძალიან რთულია. არა მარტო ფემინისტთა ჯგუფების, არამედ ზოგადად ქალთა კონსოლოდაციის პრობლემა იჩენს თავს კვოტირების თემასთან დაკავშირებითაც, როდესაც კანონპროექტის დამტკიცების წინააღმდეგნი არიან არა მარტო დეპუტატი კაცები, არამედ დეპუტატი ქალების ნაწილიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კვოტირება დისკრიმინაციული კანონპროექტია.

საერთო ჯამში, აქტივიზმის განხორციელების პროცესში იკვეთება მთელი რიგი სოციალური პრობლემები, რომლებიც მრავალწახნაგოვანი და შესაბამისად, რთული აღმოსაფხვრელია. ეს ხელისშემშლელი ფაქტორები მნიშვნელოვნად აფერხებს აქტივიზმის განვითარებას. მათი მოგვარების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა ფემინისტურ ჯგუფებს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მიაჩნიათ.

თავი V. ქართული ფემინისტური აქტივიზმის მიღწევები და გამოწვევები

5.1 ფემინიზმის მთავარი მიღწევები

მიღწევებზე საუბრისას, აქტივისტები სხვადასხვა საკითხებს გამოყოფენ, მათ შორისაა ცნობადობის ზრდა, ორგანიზაციული განვითარება, ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება, კვოტირების საკითხის წინ წამოწევა, ფემინისტური თარგმანების დიდი ბაზის შექმნა, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელზეც უმეტესი მათგანი საუბრობს, არის საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილება ფემინიზმისა და ფემინისტური აქტივიზმის მიმართ.

ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ფემინისტების და ზოგადად, ფემინიზმის, როგორც მსოფლმხედველობის, მიმართ, შეგვიძლია მოვაქციოთ როგორც აქტივისტების მიღწევების, ასევე გამოწვევების ჩარჩოში. მათი ხედვით, მათმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო, სტერეოტიპული დამოკიდებულებები ნაწილობრივ შეცვლილია და საზოგადოებისთვის ცნობილია მათი მუშაობის სფერო და მისაღებ პრაქტიკადაა მიჩნეული მათგან ისეთი სოციალური სერვისის მიღება, როგორიცაა ქალთა ადვოკატირება.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ აქტივისტები საზოგადოების დამოკიდებულებას სხვადასხვანაირად აღიქვამენ. მათი ნაწილის აზრით, ცვლილება შეუმჩნეველია და ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ შეინიშნება გარკვეული ცვლილებები, ოღონდ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მთლიანად შეცვლილად ჩავთვალოთ. მოხდა რიგ თემებზე უფრო მეტი ინფორმაციის გაგება, ცოდნის მიღება და გავრცელება. მაგალითად, ისეთ საკითხში, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობა. საზოგადოების უმეტეს ნაწილს აღარ მიაჩნია, რომ ძალადობა და შევიწროება ინდივიდუალური პრობლემებია ქალისა ან ოჯახის, არამედ ისინი მიჩნეულია, როგორც საზოგადოებრივი დანაშაული, რომელიც მკაცრ რეაგირებას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან. თუმცა, გარკვეული ცვლილებების მიუხედავად,

საზოგადოების ნაწილი კვლავ უარყოფითად არის განწყობილი ფემინისტური აქტივიზმის მიმართ და ეს ფემინისტების მიერ, ძირითადად, ფემინიზმის შესახებ ცოდნის ნაკლებობით აიხსნება.

ერთ-ერთი რესპონდენტი ,,ქალთა მზერიდან" დღევანდელ საზოგადოებაში ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელების მნიშვნელობაზე საუბრისას განმარტავს, რომ აუცილებელია, ფემინისტურ საკითხებზე ინფორმაცია ბავშვებს სკოლის ასაკიდანვე მიეწოდოს იმ დონეზე, რა დონეზეც შესაძლებელია ასაკიდან გამომდინარე და დასძენს, რომ ამ მხრივ საქართველოს განათლების სისტემა მოუწესრიგებელია: *,,სრულიად აღრეულია კარგი და ცუდი ცნებები, არ არსებობს დახარისხება, სექსუალურ და სამოქალაქო განათლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც ფაქტობრივად არც არსებობს. ადამიანებს არ მიეწოდებათ ელემენტარული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ სჭირდება ქალს ბრძოლა იმისათვის, რომ ჰქონდეს მეტი უფლება."* (ა.კ. ,,ქალთა მზერა") აღსანიშნავია, რომ არსებული პრობლემების მოგვარების გზად, ,,ქალთა მზერის" აქტივისტი, ამ მომენტისათვის თავისი, როგორც ერთი ადამიანის ინდივიდუალურ ქმედებას მიიჩნევს, რადგან არ აქვს იმედი იმისა, რომ ცვლილებების სისტემურ დონეზე განხორციელება და სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა, უახლოეს მომავალში შესაძლებელია. საკუთარ პასუხისმგებლობას კი იმაში ხედავს, რომ თავად ჩავიდეს თითოეულ სოფელსა თუ რაიონში და მიაწოდოს ელემენტარული ცოდნა ადამიანებს მსგავს საკითხებზე.

,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის" ერთ-ერთი წევრი ცვლილების ორ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით, ერთი მხრივ, შეიცვალა საზოგადოების წარმოდგენები ფემინიზმის შესახებ, რაც განაპირობა ინფორმაციულ ეპოქაში ცოდნის სწრაფმა გავრცელებამ. ცოდნის გავრცელების მიზანი ამ მხრივ ნაწილობრივ მიღწეულია, რამდენადაც ხალხმა იცის, რომ ფემინიზმი არსებობს, თუმცა ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ იმაზე, თუ როგორ და რა ფორმით მოქმედებენ აქტივისტები. მეორე მხრივ, შეიქმნა ტენდენცია, რომლის მიხედვით, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ფემინისტად საკუთარი თავის დეკლარირება **მისაღები** და ზოგჯერ **საჭიროცაა** მათივე ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითისთვის იგი ასახელებს პოლიტიკურ პარტიებს და აღნიშნავს, რომ, თუ დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში პარტია თავს

,,პროგრესული“ იდეების მატარებლად მიიჩნევს, აუცილებელია მან ფემინისტურ იდეებსაც დაუჭიროს მხარი, მიუხედავად იმისა, რომ მის რიგებში შესაძლოა მრავლად იყვნენ სექსისტი ადამიანები. ეს ადამიანები მაინც აღიარებენ, რომ ფემინიზმი არის ღირებულება, რომელიც საჭიროა თუნდაც იმ დონეზე, რომ ,,პოლიტიკური ქულები“ დაიწეროო. ფემინიზმი გარკვეულწილად მეინსტრიმულიც გახდა იმ თვალსაზრისით, რომ წარმატებული ქალები ბიზნესში და მათ უფლებებზე ფოკუსირება მომგებიანი მიდგომაა პოლიტიკოსებისათვის. საერთო ჯამში, მთავარ მიღწევად აქტივისტი იმას მიიჩნევს, რომ ფემინისტური ხედვა მეტად მისაღები გახდა ქართულ საზოგადოებაში.

,,ქალთა მზერის“ აქტივისტი იხსენებს, რომ მათი ჯგუფის ბოლოდროინდელ აქტივობებს სოციალურ ქსელში საკმაოდ დადებითი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. მაგალითად, ,,ქალთა მზერის“ მიერ გამოქვეყნებული გრაფიკულ ვიდეოებს ქალთა სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებზე, რომლებსაც როგორც გოგონები, ასევე ბიჭებიც ეხმაურებიან და დადებითად აფასებენ მსგავს თემებზე ყურადღების გამახვილებას. ფემინისტი მიიჩნევს, რომ ვერ აიძულებ ადამიანს, ყოველდღიურად დაკავდეს აქტივიზმით, თუმცა მისი აქტივიზმში ჩასართავად საჭიროა აქტუალური თემების ,,აგორება“ ქალთა საკითხის ირგვლივ და საზოგადოების ამგვარად დაინტერესება.

გამომდინარე იქიდან, რომ ფემინისტებს შეზღუდული რესურსით უწევთ აქტივიზმის განხორციელება, ეს ბუნებრივია, ზღუდავს მათი აქტივიზმის მასშტაბებს და უმეტეს მათგანს უჭირს ისეთ მნიშვნელოვან მიღწევებზე საუბარი, რომლებმაც ძირეული ცვლილებები განახორციელა საზოგადოებაში. თუმცა, ფემინისტური ჯგუფების საქმიანობა ჩემი კვლევის ფარგლებში, ფოკუსირებულია როგორც საერთო დიდ მიზნებზე, ასევე ყოველდღიურ, წვრილმან მიღწევებზე, რომლებიც, მათი აზრით, არანაკლებ დიდი მნიშვნელობისაა, რადგან მსგავსი ,,პატარა გამარჯვებები“ აქტივიზმს აახლოებს მთავარ მიზანთან - საქართველოში ქალთა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების გაძლიერებასთან. ,,ქალთა მზერის“ აქტივისტი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რიგი ფაქტორების გამო საქართველოში ახალგაზრდა ჯგუფებს ძალიან უჭირთ დაწინაურება და წარმატების მიღწევა, მათ მაინც მიაღწიეს იმას, რომ თუნდაც პოლიტიკოსები, ჯანდაცვის, ადამიანის უფლებათა კომიტეტი აზრს ეკითხება მათ,

მაგალითად, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შრომის კოდექსი უფრო გენდერულად სენსიტიური გახდეს.

,,იყო კიდეც ასეთი საკომიტეტო სამუშაო შეხვედრები, რომელზეც ჩვენც ვიყავით მიწვეული, ჩვენი შეთავაზებებიც გავაკეთეთ, ანუ ჩვენც აქტივიზმს რაღაც მხრივ, პოლიტიკაში გადათარგმნის პოტენციალი აქვს" (გ.ხ., ,,ქალთა მზერა").

ორგანიზაციული კუთხით, ერთ-ერთ მთავარ მიღწევად აქტივისტები ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ეს ჯგუფები ძირითადად თვითგანვითარებადი და თვითნასწავლია. მათ ჯგუფის ფორმირების ყველა ეტაპი დამოუკიდებლად გადალახეს და დიდი გამოცდილებაც შეიძინეს დამოუკიდებლად მუშაობის და სირთულეების დაძლევისა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მათი აქტივიზმი დაიწყო არა ავტორიტეტებთან ურთიერთობით, არამედ თვითგამორკვევითა და ყველასთან ნეგაციით.

„მე მგონია, რომ ამ ჯგუფის მთავარი მიღწევა მაინც ისაა, რომ ჩვენით მივაღწიეთ ყველაფერს თვითნასწავლი თუ Selfmade როგორ უნდა ვთქვა. ეს არის ძაან დიდი მიღწევა ჩემი აზრით, რომ რაღაცნაირად თვითონ დადგნენ ფეხზე ეს გოგონები, რომლებიც იყვნენ ქალთა მზერაში და შეიძლება ახლა აღარ არიან მაგრამ მოიაზრებენ თავს წევრებად" (ა.კ., ,,ქალთა მზერა").

,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფის" აქტივისტს მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის გაყინული პერიოდის შემდეგ აუცილებელი იყო ახალგაზრდული, დამოუკიდებელი აქტივისტური ბირთვის გაჩენა, რომელიც უკვე დიდი მიღწევაა დღევანდელ საზოგადოებაში. სწორედ ამგვარი ფორმატის ჯგუფად ჩამოყალიბდა ,,ფემინისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი", ამ წლების მანძილზე გარკვეული ექსპერტიზა და გამოცდილება დაუგროვდა და შესაძლებლობის შემთხვევაში, მზად არის იმისათვის, რომ ორგანიზაციულ ფორმატში გადავიდეს.

,,ქალთა მოძრაობის" აქტივისტები ძირითადად ისეთ მიღწევებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც ინსტიტუციონალურ ცვლილებებზეა ორიენტირებული და სერიოზულ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნიათ ქალთა კვოტირების საკითხის დაყენება პარლამენტში, ასევე ფემიციდის შესახებ კანონპროექტის ინიცირება. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ყველა ეს საკითხი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია,

გამომდინარე იქიდან, რომ ქალთა კვოტირება დაკავშირებულია ქალთა გაძლიერებასთან, ძლიერი ქალი კი უფრო მარტივად შეძლებს, გაუმკლავდეს ძალადობას, ფემიციდისა და სექსუალური შევიწროების პრობლემებს საზოგადოებაში.

5.2 ფემინიზმის მთავარი გამოწვევები

მთავარი გამოწვევა ქალთა ჯგუფებისათვის არის ქალთა გაძლიერება საზოგადოების ყველა სფეროში. აქედან გამომდინარე, გამოწვევებიც მათი გაძლიერებისთვის სხვადასხვა სტრატეგიული მიდგომის ეფექტურად გამოყენებასთანაა დაკავშირებული. მათი აზრით, პირველ რიგში, აუცილებელია ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელება სამიზნე ჯგუფებზე, რისთვისაც საჭიროა ადამიანური რესურსების მობილიზება. ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს საქართველოში 16-21 წლამდე გოგონები წარმოადგენენ, რომლებიც ოჯახზე არიან დამოკიდებული, უჭირთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, ამიტომაც ,,ქალთა მზერისათვის" მთავარი გამოწვევა ამ სამიზნე ჯგუფის გაძლიერება და ინფორმირება, რათა მომავალში მათ შეძლონ და ხმა აიმაღლონ არსებულ პრობლემებზე. აქტივისტების აზრით, ქალთა გაძლიერება დღევანდელი კონსერვატული საზოგადოების პირობებში ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ერთ-ერთი აქტივისტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს საკმარისი სერვისები იმისათვის, რომ მოხდეს ძალადობის მსხვერპლი ქალების უზრუნველყოფა ელემენტარული პირობებით. არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მსგავს პრობლემებზე მუშაობენ, თუმცა მსგავსი პრობლემის მქონე ქალებს მხოლოდ დროებითი საცხოვრებლით და ზოგჯერ სამუშაოთი უზრუნველყოფენ:

„იმდენად ჩაჭედილია ეს კონსერვატიული მჩაგვრელი ნორმები, ამ თემის გაძლიერება ჭირს, როგორც ლესბი თემის გაძლიერება ჭირს. იგივე პრობლემა გვქონდა თათია სამხარაძის შემთხვევაში სანამ თვითონ არ გადააბიჯა ამ თავის ამბავს, იმიტომ რომ იქ რამიშვილი იყო. იმდენად რთულია ამ ქალების გაძლიერება, როგორ უნდა მოახდინო არ ვიცი. იმ პირობებში რომ შენ ვერ ახერხებ გააძლიერო ფინანსურად. ჩვენი მთავარი

გამოწვევაა რომ გავაძლიეროთ ეს ქალები, რომ შეძლონ საკუთარ პრობლემებზე თავისუფლად საუბარი" (გ.ხ., ,,ქალთა მზერა").

ყველა თანხმდება იმაზე, რომ ქალთა მიმართ ძალადობა პრობლემაა, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალურად ხდება და აქტივისტთა აზრით, საჭიროა ამ ფორმალობის პოლიტიკაში გადატანა იმგვარად, რომ ჩაგვრის მექანიზმები დასუსტდეს.

რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ საჭიროა სტრატეგიის ცვლილება და ჯგუფების ორგანიზაციულ დონეზე გადასვლა, რათა უფრო მასშტაბური ცვლილებების განხორციელება გახდეს შესაძლებელი. ამისათვის კი საჭიროა ადამიანური რესურსების მობილიზება და სტრუქტურული მიდგომის მქონე დონორის პოვნა.

რესპონდენტები ,,ქალთა მოძრაობიდან" აღნიშნავენ, რომ სამწუხაროდ, მოძრაობა ჯერ კიდევ ვერ თანხმდება ბოლომდე იდეოლოგიურ ვექტორზე და შესაბამისად, უჭირთ გრძელვადიანი მიზნებისა და გეგმების დასახვა. არსებობს მრავალი საკითხი, თუმცა ყველა მათგანზე მუშაობა მათთვის რთულია, არსებული მცირე რესურსებიდან გამომდინარე. ამიტომაც, მათთვის პრიორიტეტულია კონკრეტული საკითხის დაყენება და ბოლომდე მიყოლა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა სოლიდარობის გაძლიერება, მაგალითად, ქვიარ და ფემინისტურ მოძრაობებს შორის, მიუხედავად არსებული იდეოლოგიური განსხვავებისა; ასევე, ,,ქალთა მოძრაობასა" და სხვა ქალებს შორის, რომლებიც ცდილობენ, იბრძოლონ ქალთა უფლებებისათვის რეგიონებში, ხმის მიწვდენა მათთვის როგორც მედიით, ასევე სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებით. აქტივისტებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქართული ფემინიზმი გავიდეს თბილისს გარეთ, რეგიონებში, მიაღწიოს უფრო დიდ მასშტაბებს და საჭირო ცვლილებები განახორციელოს ქალთა გაძლიერების კუთხით მთელს საქართველოში.

დასკვნა

აქტივისტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ფემინისტურ აქტივიზმის წინაშე არსებული გამოწვევების მიუხედავად, ის მაინც თანმიმდევრულად ვითარდება და აქტივისტური ჯგუფები მნიშვნელოვანი ანგარიშგასაწევი ძალა ხდება საზოგადოებისთვის.

როგორც ინტერვიუთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, ფემინისტები მოქმედების ერთმანეთისაგან და ჯგუფის სპეციფიკაზე მორგებულ სტრატეგიებს იყენებენ. ჯგუფები ორიენტირებულნი არიან როგორც შიდა ორგანიზაციულ განვითარებაზე, ასევე სხვადასხვა კონვენციური და არაკონვენციური აქტივობების განხორციელებაზე, ძირითადად თბილისის მასშტაბით. მათთვის ყველაზე ეფექტურ და ქმედით სტრატეგიას არსებულ სიტუაციაში, უმეტესად, არაკონვენციური აქტივიზმი (ძირითადად ქუჩის აქციები) წარმოადგენს. მათი აზრით, ამ მეთოდით უფრო მეტად შესაძლებელია საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და ძირითადი პრობლემური თემების აქტუალიზება.

ფემინისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთანამშრომლობის თვალსაზრისით, მთავარი პრობლემა, რომელიც გამოვლინდა, არის გრძელვადიანი თანამშრომლობის არარსებობა, რის მთავარ მიზეზადაც ჯგუფებს შორის იდეოლოგიური განსხვავებები სახელდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჯგუფების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, მიუხედავად არსებული აზრთა სხვადასხვაობებისა, მათ გარდაუვალად ესახებათ სამომავლო თანამშრომლობა პრობლემური საკითხების ირგვლივ.

საზოგადოების დამოკიდებულება აქტივიზმის მიმართ, აქტივისტთა შეხედულებით, ნაწილობრივ შეიცვალა ბოლო ათეული წლის განმავლობაში. საზოგადოებაში გაჩნდა გარკვეული ცოდნა როგორც ფემინიზმის, ასევე ფემინისტთა მოღვაწეობის შესახებ. საზოგადოების ნაწილისთვის ცნობილია, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მიიღონ ქალთა უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისები. თუმცა, ფემინისტებს მიაჩნით, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან ჯერ კიდევ

არსებობს რადიკალურად უარყოფითი დამოკიდებულება ფემინისტთა საქმიანობის მიმართ.

მთავარ გამოწვევად ფემინიზმისა სახელდება ქალთა გაძლიერება და ამ მიზნით, ფემინისტური ცოდნის გავრცელება როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ჯგუფები თანხმდებიან იმაზეც, რომ საჭიროა უფრო სერიოზულ ინსტიტუციონალურ ცვლილებათა განხორციელება, აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება შესაფერისი სტრუქტურული მიდგომის მქონე დონორის მოძიება.

ამრიგად, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მიუხედავად არსებული ბევრი სირთულისა და გამოწვევისა, ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება და ფემინიზმი საზოგადოებისათვის ცნობილი და გარკვეულწილად მისაღები ფენომენი ხდება. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ განვითარების ტემპი არ შენელდეს და მაქსიმალური კონცენტრირება მოხდეს იმ გამოწვევების გადასალახად, რომლებიც აქტივიზმის დღის წესრიგში დგას; ხოლო პოზიტიური შედეგები აქტივისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გზით იქნას მიღწეული.

ბიბლიოგრაფია

1. Barker C., (2013). Class Struggle and Social Movements. In C. Barker, *Marxism and Social Movements* (pp. 41-62). Leiden: Brill. DOI: 10.1163/9789004251434_003.
2. Danica, M. (2007). *Feminist Media Theory and Activism: Different Worlds or Possible Cooperation*. In Rill et al (eds.), 282-308.
3. Frye, M. (1983). *The politics of reality, essays in feminist theory*. N.Y.: Crossing Press.
4. Gherardi, S. (2009). *Feminist Theory and Organiz ation Theory: A Dialogue on New Bases.* DOI: 10.1093/oxfordhb/9780199275250.003.0008.
5. Harrington, C., (2013). Governmentality and the Power of Transnational Women's Movements. *Studies in Social Justice* 7(1), 47-63.
6. Hemment, J. (2007). *Empowering Women in Russia*. Bloomington: Indiana University Press.
7. Irvin, A. R., Stansbury, J. (2004). Citizen Participation in Decision-Making: Is it Worth the Effort? *Public Administration Review*, 64 (1), 55-65. DOI: 10.1111/j.1540-6210.2004.00346.
8. Mierina, I. (2004). Political Efficacy – Understanding Low Levels of Political Participation in Post-Soviet Countries. In L. Nicolaou-Smokoviti, H. Sunker, J. Rozanova & V. P. Economou, *Citizenship and Social Development: Citizen Participation and Community Involvement in Social Welfare and Social Policy* (pp. 237-262). Frankfurt: Peter Lang GmbH.
9. Newton, K. & Montero, J. (2007). Patterns of political and social participation in Europe. In R. Jowell, C. Roberts, R. Fitzgerald, G. Eva, *Measuring Attitudes Cross-nationally* (pp. 205-237). London: SAGE Publications Ltd.
10. Parpart, J. L., Connelly P., Barriteau E. (2000). *Theoretical perspectives on gender and development.* Ottawa: International Development Research Centre.
11. Tsuladze, L., Macharashvili, N., & Pachulia ,K. (2017). SOS Tbilisi: Challenges to Environmental Civic Participation in Georgia. *Problems of Post-Communism,* 64 (3), 1 - 17. DOI: 10.1080/10758216.2017.1308228.
12. Wallace, C. D. (2003). Social Networks and Social Capital. In D. Torsello, & M. Pappova (Eds.), *Social Networks in Movement: Time, interaction and interethnic spaces in*

Central Eastern Europe (pp. 15-26). (Nostra Tempora; No. 8). Šamorín, Slovakia: Forum Minority Research Institute.

13. ედვარდსი, მ. (2003). *ქალთა გაერთიანებები და კოლექტიური ქმედება.* გენდერული თეორიების ანთოლოგია, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

14. კალონი, მ. (2005). *ქალის უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები და ბიოპოლიტიკა ევროპაში.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

15. კიკნაძე, თ., დონაძე, ნ., (2006). *გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ინტერნეტ რესურსები:

16. Japaridze T. (2012). *'Backstage' of Women's NGOs in Georgia: Challenges of Autonomy and Donor Relations* (Masters thesis, International Institute of Social Studies, the Hague, the Netherlands). Retrieved from https://thesis.eur.nl/pub/13040/.

17. CRRC-ის მიერ ჩატარებული ყოველწლიური კვლევა: კავკასუს ბარომეტრი (2017).

    Caucasus Research Resourse Center.

    http://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/ACTPBLM-by-RESPSEX-withoutdkra/

18. NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში (2016). *National Democratic Institute.* https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202016%20poll_press%20release_POLITICAL_GEO_vf.pdf

19. კავშირი ,,საფარის" 2017 წლის პუბლიკაცია: *,,ფემინისტური დიალოგი".* http://sapari.ge/wp-content/uploads/2018/02/dialogi-cigni.pdf

20. მელაშვილი თ. (2014). თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში. *ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, სამხრეთ კავკასია.*

    http://www.feminism-boell.org/ka/2014/06/25/tanamedrove-peministuri-aktivizmi-sakartvelos

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Khoperia

The Main Achievements and Challenges to Modern Georgian Feminist Activism from the Perspective of Activists

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master in Sociology of Culture and Media

Thesis supervisor: Lia Tsuladze
Phd in Sociology, Associate Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2018